საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 24 ოქტომბერი. 2017 წ. №218 (8355), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

კახა კალაძის საუკეთესო გოლი ოპოზიციის კარში!

ერთობ გასაკვირია ნაცების 17 პროცენტი!

ქართველებო!

ვიდრე ულირსი ნაცმოძრაობა „მთავარი“ ოპოზიციური ძალა იქნება, ქვეყანას დამშვიდება და სოციალური წინსვლა არ ეღირსება!

დღის ფრაზა

ყველანაირად გაბითურებულო „ნაციონალურო მოძრაობავ“, ამ ვაიმოძრაობის განაყარო „ევროპულო საქართველოვ“, „ნაციონალთა“ კუდში მოჩანჩალე ნათელაშვილო, თქვენგან „უუნაროდ“ და „უნიათოდ“ მონათლული პარტია რომ პირწმინდად დაგამარცხებთ, თქვენ თვითონ რა გამოდიხართ მაშინ?!

ალეკომ ზალიკოს კაცობაშიც აჯობა, ④ ნინო კი ქეთევანი არ არის!..

კახის ③ თვალები

ანუ ამას მტერიც ვერ უარყოფს!

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

როსტომ ჩხეიძე

ხევის ⑦ ტურისტული რუკა — პოემად

სომხურ-რუსული ერთობლივი სამხედრო დაჯგუფება!

სომხეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა რუსეთთან საერთო სამხედრო დაჯგუფების და სომხეთის რუსულ-ბელორუსული სახელმწიფოთაშორისი საფინანსო სამრეწველო ჯგუფთან მიერთების შესახებ, პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ კანონს.

სომხურ-რუსული შეთანხმების მიხედვით, უნდა შეიქმნას ერთობლივი საჯარისო დაჯგუფებები, რომელმაც დროული რეაგირება უნდა მოახდინონ სახელმწიფოებზე თავდასხმის შემთხვევაში. საჭიროების შემთხვევაში დაიცვან და გააკონტროლონ სახელმწიფო საზღვრები, დაიცვან ერთმანეთის საჰაერო სივრცეები, მონაწილეობა უნდა მიიღონ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში, საჭიროების შემთხვევაში დაიცვან ერთმანეთის სტრატეგიული ობიექტები.

ერთობლივი საჯარისო დაჯგუფების სამართავად, მოსკოვსა და ერევანს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით შეიქმნება გაერთიანებული სამეთაურო შტაბი. შეთანხმება 5-წლიანია და ავტომატურ გაგრძელებას ითვალისწინებს. ხელშეკრულების რატიფიცირება სომხეთის პარლამენტმა 5 ოქტომბერს მოახდინა.

ღარიბმა ქვეყანამ დემოკრატიის მაგალითი უჩვენა!

არჩევნები ნამდვილად შედგა

ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ საერთო ჯამში არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობაზე საუბრობს.

გიორგი მარგველაშვილი კვალიფიციური მონიტორინგისთვის მადლობას უხდის სადამკვირვებლო მისიებს და გამარჯვებულ კანდიდატებს ულოცავს.

„საქართველოში 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნები შედგა, საერთო ჯამში არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, თუმცა იყო ბევრი ხარვეზი, რომელთა აღმოფხვრაც და გათვალისწინებაც ქართული დემოკრატიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ვულოცავ თვითმმართველ ქალაქებში არჩეულ მერებს, პარტიებსა და მაჟორიტარ კანდიდატებს.

ვუსურვებ წარმატებულ საქმიანობას, არჩევნებში მიღებული ხალხის მხარდაჭერა კი, ამ ხალხის პრობლემების მოგვარებაში უნდა გამოიხატოს.

მინდა, მადლობა ვუთხრა საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო მისიებს თვითმმართველობის არჩევნების მიმართ გამოჩენილი მაღალი ინტერესისა და კვალიფიციური მონიტორინგისათვის. იმედს გამოვთქვამ, რომ არჩევნების მეორე ტურიც მშვიდ ვითარებაში ჩაივლის და ამომრჩევლის აქტივობაც მაღალი იქნება“, — აღნიშნულია პრეზიდენტის განცხადებაში.

აშშ-ის საელჩო ცოტას გვაკრიტიკებს...

აშშ-ის საელჩო ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებს ეხმაურება და განცხადებას ავრცელებს:

„ვეთანხმებით ეუთოს წინასწარ ანგარიშს, რომელშიც დადებითად აღინიშნა, რომ კანდიდატებს თავისუფლად შეეძლოთ კამპანიის ჩატარება და ზოგადად შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება დაცული იყო. აგრეთვე, ვიზიარებთ ეუთოს მოსაზრებას, რომ მმართველი პარტიის უპირატესი პოზიცია ხაზს უსვამს მის პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც კონკურენტების შესაძლებლობები არ შეიზღუდება. ეუთოს შეფასებაში ასევე საუბარია საჩივრებზე ამომრჩეველთა დაშინებისა და ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების შესახებ. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, სწრაფად და გამჭვირვალედ გამოიძიოს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა საჩივარი.

ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს ჩვენი საერთო მიზნის განხორციელებას და მხარს უჭერს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებას და მის სწრაფვას, გაწევრიანდეს ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში. კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“, — ნათქვამია აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრი უშუალოდ გვაქებს!

ამერიკისა და ევროპის საკითხებში დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრმა სერ ალან დანკანმა საქართველოში ჩატარებულ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებს დემოკრატიული სტანდარტების მაგალითი უწოდა. ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მინისტრმა ლონდონში, საქართველოსა და ბრიტანეთს შორის უორდროპის სტრატეგიული დიალოგის მეოთხე სესიის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დემოკრატიული სტანდარტების მიმართ საქართველოს ერთგულებამ, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ კვირას საქართველოში ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებში“, — აღნიშნა დანკანმა. საკუთარ გამოსვლაში გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფო მიესალმება საქართველოში განხორციელებულ საკონსტიტუციო რეფორმებს და მთავრობის ოთხპუნქტიან გეგმას, რომელიც, მისი განცხადებით ემსახურება ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას.

„ჩვენ ახლოდან ვადევნებდით თვალყურს საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმებს, მხარს ვუჭერთ ქვეყანას კონსენსუსის მიღწევასა და მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებაში. ასევე მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს ოთხპუნქტიან რეფორმის გეგმას, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის განვითარებას, ისევე როგორც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის კონსოლიდაციას. „კარგი მმართველობის ფონდის“ დახმარებით, გასული წლების განმავლობაში ჩვენ განვახორციელეთ მსხვილი ინვესტიციები საქართველოში, რაც ემსახურებოდა პრაქტიკული დახმარების გაწევას, მათ შორის, საჯარო ადმინისტრირების, კრიზისის მართვისა და საგადასახადო რეფორმის სფეროში“, — განაცხადა სერ ალან დანკანმა.

ლონდონში დღეს საზეიმოდ გაიხსნა საქართ-



ველო-გაერთიანებული სამეფოს სტრატეგიული უორდროპის დიალოგის მე-4 შეხვედრა. ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით ასევე მიმართეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ და თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

სახელმწიფოს მართვის ყველა დონეზე ერთპარტიული მმართველობა გამყარდა

სახელმწიფოს მართვის ყველა დონეზე ერთპარტიული მმართველობა გამყარდა, რაც დემოკრატიის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, — ნათქვამია NDI-ის სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში, რომელიც მედიას NDI-ის დელეგაციამ გააცნო.

„ერთი პარტიის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაცია ქვეყანაში ძლიერი და პლურალისტური დემოკრატიის განვითარების შანსებს რისკის ქვეშ აყენებს. შექმნილ ვითარებაში ინკლუზიური მმართველობისა და დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების შექმნის პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება“, — აცხადებს NDI.

მათივე განცხადებით, არჩევნების დღემ და ხმების დათვლის პროცესმაც ძირითადად ინციდენტების გარეშე მშვიდ გარემოში ჩაიარა, თუმცა დამკვირვებლებმა პროცედურების სერიოზული დარღვევის შემთხვევებიც დააფიქსირეს.

კობახიძე საკანონმდებლო ცვლილებებს არ გამორიცხავს

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე არ გამორიცხავს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც საარჩევნო უბნის გარკვეულ რადიუსში აქტივისტების ყოფნას აკრძალავს.

„თავის დროზე „საარჩევნო კოდექსში“ იყო რეგულაცია, რომლის თანახმადაც იყო განსაზღვრული რადიუსი საარჩევნო უბნის გარშემო, სადაც არ შეეძლო დგომა ადამიანებს. ეს რეგულაცია გაუქმდა 2010 წელს. თუ არის საჭირო ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში, ამაზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მე პირადად არ მომწონს ის პრაქტიკა, რომელიც არის ჩამოყალიბებული საქართველოში ათწლეულების მანძილზე, თუმცა აქ არის პარტიების ინტერესი, რომ პრაქტიკა არ შეიცვალოს. მხოლოდ „ქართული ოცნების“ აქტივისტები არ დგანან ხოლმე საარჩევნო უბნების გარშემო. ყველასთან ერთად ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ და საბოლოოდ მივიღოთ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, როგორი რეგულაციებით ჩატარდება უკეთესი არჩევნები“, — განაცხადა კობახიძემ.

კობახიძის თქმით, „ქართული ოცნების“ კოორდინატორების ქმედება კანონის ფარგლებში იყო.

„აქტივისტები ახორციელებდნენ ამომრჩევლების მობილიზებას. ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა როგორც საქართველოში, ისე ნებისმიერ ქვეყანაში. მთავარია, რომ ამ დროს არ იყოს გამოყენებული არასამართლებრივი ფორმები. მკაცრად იყო გაფრთხილებული თითოეული აქტივისტი იმასთან დაკავშირებით, რომ ბოროტად არ უნდა გამოეყენებინათ თავიანთი სადამკვირვებლო უფლებამოსილებები, მათ შორის არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოეხდინათ პირადი ნომრების და მსგავსი ინფორმაციის აღნუსხვა. ასეთ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

რუსული, ფრანგული თუ იტალიური შავი ფული ნამდვილად ტრიალებდა

რუსული, ფრანგული თუ იტალიური შავი ფული ნამდვილად ტრიალებდა, — ასე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე მოსაზრებებს საარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების მიერ შავი ფულის ხარჯვასთან დაკავშირებით.

„ეს არის სერიოზული პრობლემა და გამოწვევა, რითაც უნდა დაკავდნენ შესაბამისი უწყებები. პოლიტიკაში არადეკლარირებული ფული არის პრობლემა. ჩვენ ვერ დავადანაშაულებთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს იმაში, რომ იყო პასიური. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ობიექტური მიზეზები ჰქონდა, რის გამოც ვერ ხერხდებოდა არადეკლარირებული თანხების კონტროლი, თუმცა ეს არის გამოწვევა, რომელსაც ყველა უნდა ვებრძოლოთ... დაფინანსებასთან დაკავშირებით არაერთხელ გავაკეთეთ განცხადება და ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ, სამწუხაროდ, დეკლარაციები არ ასახავს პარტიების რეალურ შემოსავლებს და ხარჯებს. ოპოზიციური პარტიები თავს იკავებენ ამისგან, რასაც აქვს თავისი სუბიექტური მიზეზები“, — განაცხადა კობახიძემ.

ყველაზე მრავალპარტიული ფოთის საკრებულო იქნება...

დედაქალაქის გარდა, ოთხი თვითმმართველი ქალაქის ყველა საკრებულოში „ქართული ოცნება“ უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი.

თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების 25 წევრიან შემადგენლობაში 15 წევრი პროპორციული სიით შედის, 10 კი მაჟორიტარია. ყველა თვითმმართველი ქალაქის ათივე მაჟორიტარული ოლქი „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო.

პროპორციული ნაწილი კი სპეციალური ფორმულის მიხედვით ითვლება, რომელსაც საარჩევნო კოდექსი არეგულირებს (პარტიის მიერ პროპორციულ ნაწილში მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება პროპორციული მანდატების რაოდენობაზე, ანუ 15-ზე და იყოფა ყველა იმ პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამურ რაოდენობაზე, რომლებმაც გადალახეს 4%-იანი ბარიერი. გადაუნაწილებელი მანდატები მიაქვს იმ პარტიას, რომელსაც არითმეტიკული დათვლის შედეგად, ყველაზე მაღალი წილადი აქვს).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველადი მონაცემებით, **რუსთავის საკრებულოში მმართველ პარტიას, „ქართულ ოცნებას“ 17 დეპუტატი ეყოლება (7 პროპორციული სიით და 10 მაჟორიტარი) „ნაციონალური მოძრაობა“ — 3 დეპუტატი, „ევროპული საქართველო“ და „პატრიოტთა ალიანსი“ 2 დეპუტატი, „ლეიბორისტული პარტია“ 1 დეპუტატი.**

რაც შეეხება **ქუთაისს, საკრებულოში მხოლოდ სამი პარტია იქნება წარმოდგენილი, უმრავლესობით „ქართული ოცნება“ 19 წევრით (9+10 მაჟორიტარი), „ნაციონალური მოძრაობა“ — 4, ხოლო „ევროპული საქართველო“ 2 დეპუტატით.**

ბათუმის საკრებულოშიც, ქუთაისის მსგავსად, მმართველ პარტიას 19 დეპუტატი ეყოლება (9+10 მაჟორიტარი), „ნაციონალურ მოძრაობას“ — 4, „ევროპულ საქართველოსა“ და „პატრიოტთა ალიანსს“ კი თითო-თითო წევრი.

ყველაზე მრავალპარტიული, თვითმმართველი ქალაქის — ფოთის საკრებულო იქნება. **ფოთში თვითმმართველობის არჩევნებზე დაწესებული 4%-იანი ბარიერის გადალახვა 7-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა მოახერხა. თუმცა უმრავლესობა აქაც მმართველ პარტიას აქვს. „ქართული ოცნება“ — 17 დეპუტატი (7+10 მაჟორიტარი), „ევროპულ საქართველოსა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ 2-2 დეპუტატი, „დემოკრატიული მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ლეიბორისტული მოძრაობა“ და „შენების მოძრაობა“ თითო-თითო წევრით იქნებიან წარმოდგენილი.**



კახის თვალები

ანუ ამას მტერიც ვერ უარყოფს!

უმბერტო ეკოს აქვს ასეთი ესე: „დუჩეს თვალები.“

აი, რას გვეუბნება ამ სათაურით და, ფაქტობრივად, მთელი ესეთი:

როცა დავბადებულვარ (1931), მეან-გინეკოლოგს დედაჩემისთვის ასე მიუმართავს: „გილოცავთ, თქვენს შვილს დუჩეს თვალები აქვს.“ დღეს კი (2005) ყველაზე ფარისეველ ექიმსაც არ მოუვა აზრად, ახალშობილის დედას უთხრას: „გილოცავთ, თქვენს შვილს ბერლუსკონეს თვალები აქვს“ — აუცილებლად რომელსამე ცნობილ ტელესახეს შეადარებსო...

ანუ პოლიტიკოსთა პოპულარობა ჟურნალისტთა პოპულარობამ ჩაანაცვლაო.

სხვათა შორის, ერთ-ერთ ინტერვიუში ეკო ამბობს, ამქვეყნად ყველა უბედურების სათავე ისაა, რომ პოლიტიკოსები არაფერს კითხულობენო, მაგრამ მაინც მგონია, რომ მისი ხსენებული ესე მიხეილ სააკაშვილს წაკითხული ჰქონდა: ზაალ უდუმაშვილის კანდიდატურაც სწორედ ამიტომ შეარჩია.

ზაალი მე დავწერე, თორემ მათთვის(განსაკუთრებით გვარამიასთვის), უბრალოდ, ზალიკოა.

როგორ ჟღერს: „ზალიკო — თბილისის მერად(?!)...

არმოსახდენი არ მოხდა.

და თბილისის მერი კახა კალაძეა.

ყველაზე წარმატებული ქართველი ფეხბურთელი, ვინც ჩვენს თვალწინ, თვალდახელშუა ჩამოყალიბდა წარმატებულ პოლიტიკოსად — თავდაჭერით, მსჯელობით, ლოგიკური აზროვნებით...

ამას მტერიც ვერ უარყოფს.

მტრები კი ნამდვილად ჰყავს.

არ მინდა აქ ვაჟას შეწუხება, ის კი არ მახსოვს, ტირიან თუ არა მისი გმირები.

რუსთველის გმირები კი ნამდვილად ტირიან, რამაც ერთხანს ჩვენი დროის (პლანეტის!) უდიდესი რეჟისორიც კი დააბნია.

ტირილი რატომღა დამჭირდა?

ამას წინათ სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო — როგორ ტირის მატჩის დაწყების წინ კახა კალაძე, თავისი ცხოვრების ყველაზე ტრაგიკულ წუთებში.

რა მრავლისმთქმელია მისი ცრემლიანი თვალები!

დუჩეს თვალები როგორ შეედრება?!

ასევე მეტყველი იყო მისი თვალები 21 ოქტომბრის საღამოს.

არ ტიროდა, მაგრამ თვალებში, დაღლილობასთან ერთად, რაღაც უცნაური სევდა ჩასდგომოდა. ალბათ, მთელი სიგრძე-სიგანით სწორედ მაშინ გაიაზრა, რამოდენა ტვირთია იმ ქალაქის მერობა, სადაც ამდენი პრობლემა და გაჭირვებაა; სადაც ძნელად თუ გაპატიებენ, იყო წარმატებული, მდიდარი, თვით სიმპათიურიც კი.

* * *

მას ხან კახას ეძახიან, ხან — კახის.

მეც ყოველთვის კახად მოვიხსენიებ ხოლმე, თუმცა, ამჯერად მეორე მირჩევნია — მინდა, მის თვალებში იმ „პატარა კახის“ მზერას ვხედავდე, ბრძოლაში რომ არასოდეს იღლებოდა.

დუჩეს თვალები კი ღმერთმა გვაშოროს.

მე მჯერა მისი დაუღლელობის...

იოსებ ჟუმბურიძე.

P. S. ვიცი, ზოგიერთები გამიზნულ რევერანსად ჩამითვლიან — გაზეთის აღდგენაზე ოცნებობსო. კი არ ვოცნებობ, საკითხს პრინციპულად ვაყენებ: თბილისს ნაცებისაგან წართმეული „თბილისი“ აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს. ნარმანიამ ვერ დაუბრუნა (ვერ! — ამიტომაც არ დავმდურებივარ), კალაძე თუ მოისურვებს, დაუბრუნებს. მასაც შევახსენებ აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი პრეზიდენტის (რაც იქაც იშვიათობაა) თომას ჯეფერსონის სიტყვებს: „ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ — მთავრობა თუ გაზეთები? — უყოყმანოდ ავირჩევდი მეორეს.

ი. ჭ.

თბილისის მერიაში ბევრი რამ შეიცვლება

დედაქალაქის მერიაში სტრუქტურული ცვლილებები იგეგმება. მოსალოდნელია რამდენიმე სამსახურის ოპტიმიზაცია. ამ საკითხებზე კახა კალაძემ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში ისაუბრა.

როგორც კახა კალაძე აცხადებს, მოხდება არქიტექტურის სამსახურის რებრენდინგი და ურბანული პოლიტიკის გაძლიერება. მისივე თქმით, არქიტექტურის სამსახური ცალკე სამსახურად ჩამოყალიბდება და ურბანული განვითარების პოლიტიკას გაატარებს.

კახი კალაძის ინფორმაციით, დაგეგმილია ზედამხედველობის, ეკოლოგიისა და ტრანსპორტის სამსახურების ოპტიმიზაცია.

გარდა ამისა, კახა კალაძე წინასაარჩევნო პერიოდში საუბრობდა ხარჯების ოპტიმიზაციაზეც. მისი თქმით, ხარჯების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, ყურადღება დაეთმობა ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციას, გამჭვირვალე და რაციონალური ხარჯვით პოლიტიკასა და ბიუჯეტის შესრულების გაძლიერებულ მონიტორინგს.

„მერიის მომსახურება ყველა ადამიანისთვის მაქსიმალურად მარტივი, სწრაფი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ჩვენ შევამცირებთ გადაწყვეტილების მიღებისა და მოქალაქეების განცხადებებზე პასუხის გაცემის დროს, აუცილებლად დავხვეწთ ერთი ფანჯრის პრინციპის მომსახურების სერვისს. მერიაში დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ მოქალაქეებს მერიის სერვისებზე 24-საათიანი წვდომა ჰქონდეთ, სახლიდან გაუსვლელად მიიღონ ნებისმიერი მომსახურება, რათა დრო და ხარჯები დაზოგონ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება ასევე, ონლაინ სისტემების დანერგვა იქნება.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, საქართველოს ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მინისტრების ყოფილი მოადგილეები ირაკლი ხმალაძე და მაია ბითაძე საქმიანობას თბილისის მერიაში გააგრძელებენ და მერის მოადგილეების პოსტებს დაიკავებენ. ხმალაძის თქმით, ის კალაძის ნებისმიერ შეთავაზებას დასთანხმდება:

„კახა კალაძეს ირგვლივ ძალიან ბევრი პროფესიონალი და კომპეტენტური ადამიანი ჰყავს. ყველა განწყობილია ისე, რომ იმუშაოს და იმ პოზიციაზე დადგეს, სადაც გუნდსა და თბილისს დასჭირდება. ყველაფერი თავის დროზე გახდება ცნობილი. კახასგან ნებისმიერ პოზიციაზე დავთანხმდები შემოთავაზებას“, — აღნიშნა ხმალაძემ.

ბითაძის თქმით, მას სურვილი აქვს, კალაძის გუნდის წევრი გახდეს:

„ამ საკითხთან დაკავშირებით კახა კალაძე განცხადებას უახლოეს მომავალში თავად გააკეთებს. ბუნებრივია, ჩემი გადაწყვეტილებით სამინისტროდან იმიტომ წამოვედი, რომ მუშაობა მის გუნდში გამეგრძელებინა. მაქსიმალურად მაქვს სურვილი, რომ მას მხარში ამოვუდგე, რათა ის პროგრამა განახორციელოს, რომელიც წინასაარჩევნოდ ჰქონდა. რაც შეეხება კონკრეტულ თანამდებობებს, ამის თაობაზე ზუსტი განცხადება რამდენიმე დღეში გაკეთდება“, — აღნიშნა ბითაძემ.

ცესკო-ს საბოლოო მონაცემებით, თვითმმართველობის არჩევნებში კახა კალაძეს 51 პროცენტზე მეტი აქვს, კანონმდებლობის მიხედვით, ახალი მერი მუშაობას არაუგვიანეს 12 ნოემბრისა შეუდგება.

კახი კალაძე: არ მსიამოვნებს, როდესაც რომელიმე წარმატებულ ადამიანზე საუბრისას ამბობენ — ის ძალიან კარგი მსახიობია, მაგრამ შევარდნაძეს ან მიშას ემსრობოდაო...

კახა კალაძე აცხადებს, რომ ყველა იმ დაინტერესებულ პირთან თანამშრომლობისთვის მზადაა, ვისაც ქალაქის განვითარება სურს. ინფორმაციას პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახური ავრცელებს.

„ჩვენ ერთგვარ მოძველებულ წრეზე ვტრიალებდით, საიდანაც უნდა გამოვიდეთ. ამ ქალაქში ვცხოვრობთ ყველა და გვიყვარს. ადამიანებს, რომელთაც აქვთ გარკვეული ხედვები ან პროექტები, რომელიც თბილისს წაადგება, უნდა მივცეთ საშუალება და ეს პროექტები განვიხილოთ. ასევე, ძალიან არ მსიამოვნებს, როდესაც მხარდამჭერებზე ან კონკრეტულ მომღერალზე, რომელიმე წარმატებულ ადამიანზე საუბრისას ამბობენ — ის ძალიან კარგი მსახიობია, მაგრამ შევარდნაძეს ან მიშას ემსრობოდა და მოდი, დისტანცია დავიჭიროთო. ეს სტერეოტიპები უნდა დავანგრიოთ. მე ვიქნები აბსოლუტურად ღია და გახსნილი თანამშრომლობისთვის მასთან, ვისაც ეს ქალაქი მართლა უყვარს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ვინ შეინარჩუნებს თანამდებობებს მერიაში?

კახა კალაძის გუნდის წევრების ვინაობა არაოფიციალურად უკვე სახელდება. გავრცელებული ინფორმაციით, დედაქალაქის მერის თანამდებობის დაკავების შემდეგ, კალაძის მოადგილე ირაკლი ხმალაძე იქნება. მის გუნდში მოიაზრებიან ასევე მაია ბითაძე და ლაშა კვანტალიანი.

ლაშა კვანტალიანი იურისტია და ის კალაძის საარჩევნო შტაბში მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს კურირებდა. თემურ ბოლოთაშვილი კი, რომელიც ასევე კალაძის საარჩევნო შტაბში მუშაობდა, ურბანულ პოლიტიკაზე იმუშავებს.

მაია ბითაძე გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, შემდეგ კი კალაძის საარჩევნო შტაბში გადაინაცვლა. მას უკავშირდება ეკოლოგიური მიმართულებით კალაძის საარჩევნო პროგრამის მომზადება.

ირაკლი ხმალაძე, ენერგეტიკის მინისტრად მუშაობისას კალაძის მოადგილე იყო. მისი მომზადებულია თბილისის ურბანულ და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული პროგრამები.

სავარაუდოდ თანამდებობას შეინარჩუნებს მერიის კულტურის საქალაქო სასმახურის უფროსი **ია მაქაცარია** და ასევე თბილისის 10 რაიონის გამგებლიდან 2 მათგანი — კრწანისის და ნაძალადევის რაონის გამგებლები.

„ქართული ოცნება“ დედაქალაქის დასუფთავების მასშტაბურ აქციას იწყებს

პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ თბილისელ ამომრჩეველს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობას უხდის.

პარტიაში ასევე აცხადებენ, რომ დასუფთავების მასშტაბურ აქციას იწყებენ, რომლის ფარგლებშიც, დედაქალაქში არსებულ ქუჩებს, პარტიის მხარდამჭერი პლაკატებისგან გაათავისუფლებენ.

დასუფთავების აქციაში პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები მიიღებენ მონაწილეობას.

ალეკო ზალიკოს კაცობაშიც აჯობა, ნინო კი ქეთევანი არ არის!..

ლენინი, მაგალითად, ასე იტყოდა, „ქართული ოცნების“ გამარჯვება, რომლის გარდუვალობასაც რა ხანია ამტკიცებდა ხალხი, აღსრულდაო!“

დიახ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვება შემდგარი ფაქტია.

დამთავრდა ნაცების ზერე-ქვერე სირბილი და შექანებული სახეებით ყველა გზაჯვარედინზე ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი, ჩვენ გავიმარჯვებთო. ნიკანდრო მელიამ, მაგალითად, იმდენი არწმუნა ხალხი გამარჯვებაში, რომ ბოლოს მგონი თვითონვე დაკარგა ყოველგვარი რწმენა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს ჰქონია.

ახლა წარმოიდგინეთ სხვები, ნიკანდროზე უფრო დაბალი რანგის ტრუბადურები რა რწმენის ბაგაჟით აღანთებდნენ მასებს.

ჰოდა, შედეგიც ის მოიმკეს, რაც დათესეს; ხუთი უბნის გარდა, არც ერთ უბანზე განმეორებითი არჩევნები – მეორე ტური არ შედგება, დანარჩენთაგან დამაჯერებლად გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“.

და აქ ერთ პარადოქსულ ვითარებასთან მივდივართ. აშკარაა, რომ „ოცნებამ“ გაიმარჯვა არა მარტო იმიტომ, რომ ძლიერი, შეკრული, საქმიანი პარტიაა, არამედ იმიტომაც, რომ მეორე ადგილზე გასულ ნაცმოძრაობას „არც არაფერი უსწავლია და არც არაფერი დავიწყებია“, ხალხს თავი მოაბეზრა თავისი პროვოკაციებით, ლანძღვა-გინებით, ჩასაფრებითა და გამოჭერაზე გაფაციცებით...

არჩევნებზე თბილისში არაფერი არაჩვეულებრივი და მოულოდნელი არ მომხდარა, კახა კალაძის ალალი 51,06 პროცენტით და ალეკო ელისაშვილის ერთი შეხედვით მოულოდნელი 17,41 პროცენტის ჩათვლით.

კოჭებში ეტყობოდა, რომ ელისაშვილი ბევრს გადაუსწრებდა. არ მინდა ტრაბახი გამომივიდეს, მაგრამ ამბობენ, რასაც კალმით დაწერ, ნაჯახით ვერ ამოჩეხავო. ამას წინათ ჩვენს გაზეთში „ვიწინასწარმეტყველე“, რომ ელისაშვილი ქულების დიდ რაოდენობას დააგროვებდა. კაცი, რომელსაც თითქოს „ჯიბეში ჩაისვამდნენ“ ისეთი „მგლები“, როგორებიც არიან ხოშტარია, კუკავა, გუგავა, ვაშაძე თუ სხვები, რომელსაც არავითარი პოლიტიკური, ანუ ბინძური ბრძოლის გამოცდილება არა აქვს, არ ჰქონდა არავითარი ზურგი, არავითარი დასაყრდენი, არ ჰქონდა არც „თეთრი“ და არც „შავი“ ფული ღიად და ფარულად სამოქმედოდ, ჰქონდა მხოლოდ გულწრფელი სურვილები, მიმზიდველი გეგმები, საინტერესო მიზნები,. მოაგროვა იმაზე მეტი ხმა, ვიდრე ყველა მისმა „კოლეგამ“ ერთად, პირველ ადგილზე გასული კალაძისა და მესამე ადგილზე გასული უდუმაშვილის გამოკლებით.

ამ „თეთრმა ყვავმა“ დამაჯერებლად გაასწრო მთელი გაერთიანებული ოპოზიციის, განსაკუთრებით ნაციონალური ოპოზიციის ფსონსა და იმედს, მათგან ყოველმხრივ მხარდაჭერილ და ზურგდაჭერილ ზალიკო უდუმაშვილს, რომელმაც, იმისა არ იყოს, შეძახილით ხე გახმაო, ან პწკენა-პწკენით პატარძალი დაორსულდაო, დაიჯერა, რომ მართლა თბილისის მერობის ღირსია, რომ მთელი თბილისი ამაზე ოცნებობდა და ისევე უღირსი მეთოდებით ებრძოდა მთავარ მოწინააღმდეგეს „ქართული ოცნებიდან“ როგორც მისი პარტია ხელაღებით, თავგადაკლული ებრძვის ყოველივე უკეთესს და პროგრესულს, ახლა ზალიკოს ისევ „კურიერი“ თუ ელის, ვახ, დედას ზალიკოსასა!..

ერთიც: ალეკო ელისაშვილი ერთადერთი აღმოჩნდა კანდიდატთა შორის, რომელმაც არჩევნების დასრულების შემდეგ კახა კალაძეს გამარჯვება მიუოცა, რამაც იგი კიდევ უფრო აამაღლა ხალხის თვალში. ძალიან სწორი იქნება, თუ ბატონი კახა ალექსანდრე ელისაშვილს გამოიყენებს მერიაში საქმიანობისთვის!

მაგრამ ყველაფერი ის, რაც უკვე ვთქვი, ჩემი აზრით, სულაც არ არის არჩევნების უმთავრესი შედეგი. უმთავრესი ის მგონია, თუ რამდენად მიიღო, რამდენად შეიმეცნა შედეგები თითოეულმა, რათა სამომავლოდ იხელმძღვანელოს და მოიგოს.

აი, ქალბატონი **ნინო ბურჯანაძე**, რომლის კანდიდატმა თბილისის მერობაზე თავს ლაფი დაისხა, „ლიდერთა საბჭოზე“ მრისხანე სახით მივიდა მიკროფონთან: ჩვენ, ლიდერები, შევთანხმდით და არჩევნების შედეგებს უნდობლობას ვუცხადებთ. იყო უპრეცედენტო ძალადობა, კონტროლი ხმებზე(?!) მიგვაჩნია, რომ არჩევნები ჩატარდა არასწორად (შეგვიძლია მოგაწოდოთ დარღვევის აქტები). ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, „ქართულ ოცნებას“ არ უნდა ვაპატიოთ“...

მას, რა თქმა უნდა, მხარი მაშინვე აუბა დაძმარებულმა შალვა ნათელაშვილმა – არჩევნები მთლიანად გაყალბდა. წინ ძალიან დიდი ბრძოლა გველოდებაო.

რატომ არის, რომ ნინო ბურჯანაძე ერთი საუკუნეა, ყველა არჩევნებში წარუმატებლად გამოდის და ამ წარუმატებლობას „ტოტალურ გაყალბებას“ აბრალებს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლისკენ მოგვიწოდებს?!

იქნებ წარუმატებლობის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძიოთ, ქალბატონო ნინო? თქვენ წარსულით ცხოვრობთ, იმით, რაც ერთ დროს იყავით – პოლიტიკოსი, რომელმაც წარმატებულად დაიწყო, ოღონდ არც თუ წარმატებულად დაასრულა. რატომღაც, სრულიად უსაფუძვლოდ გგონიათ, რომ კვლავაც ისე ანდამატივით იზიდავთ ადამიანებს, როგორც ამ 15 წლის წინათ. არადა, კარგა ხანია, თქვენმა მატარებელმა ჩაიარა, ვერც გამოეკიდებით და ვერც შეახტებით. თქვენ კი არ გინდათ, ეს დაიჯეროთ და ღრმააზროვანი იერითა და არაღრმააზროვანი მსჯელობით დაჟინებით ცდილობთ თქვენი მომხრეები და სხვათა მომხრეები რაღაც უაზრო ბრძოლაში გადაჩეხოთ.

ძალაუნებურად მახსენდება თქვენსავით იმერელი, ოღონდ მართლა დიდი ქალბატონი ქეთევან აბაშიძე-წერეთელი, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის სარდლის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე. ქაიხოსრო სოლომონის უერთგულესი დასაყრდენი იყო. ის უშუალოდ მონაწილეობდა 1810 წლის მაისში მოტყუებით დაპატიმრებული მეფის თბილისიდან გაქცევაში, ხოლო შემდეგ, ივნისში აბობოქრებული ანტირუსული აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ქმარს მხარში ედგა ქეთევანიც. ის სათავეში ჩაუდგა მოდინახეს ციხის გარნიზონს საჩხერეში – მისი კომენდანტი იყო. თანაც არა ფორმალური, არამედ რეალური: კაბაზე ხმალი ერტყა, ხელში თოფი ეჭირა და მებრძოლებს თავისი მაგალითით აგულიანებდა, მაშინაც კი როცა მდგომარეობა უიმედო ჩანდა. ქეთევანმა იარაღი მხოლოდ მაშინ დაყარა, როცა სექტემბრის ბოლოს ცნობა მიიღო, დამარცხებულმა სოლომონ II-ემ და მისმა უახლოესმა ადამიანებმა, მათ შორის ქაიხოსრომ, საქართველო დატოვეს და ახალციხეს შეაფარეს თავიო.

ასეთ მეთაურს მართლა ბოლომდე გაჰყვება კაცი. აი თქვენ კი, სამწუხაროდ, ქალბატონო ნინო, სულკურთხეული ქეთევან წერეთელი არ ბრძანდებით, თქვენ მხოლოდ პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებთ და ეს აშკარად ჩანს, ამიტომაც დაღოღავენ თქვენი კანდიდატები ყოველთვის სიის ბოლოში. მაგრამ თქვენ იხტიბარს მაინც არ იტეხთ თქვენი მეგობარი შალვა ნათელაშვილივით, რომელიც თავის მხრივ ძალიან მძიმე შემთხვევაა.

ამრიგად, ეს არჩევნებიც გადავაგორეთ. მართალია, წინ კიდევ დარჩა რამდენიმე მღელვარე დღე – მეორე ტური. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ნაცმოძრაობის მრისხანე მუქარა, რომ „ქართულ ოცნებას“ არ აპატიებენ გამარჯვებას – როგორ თუ ყოველმა მეორე თბილისელმა მას მისცა ხმა, ეს ხომ „აბსურდიაო“ (ვითომ რატომ?).

სხვათა შორის, ამ ბაკქანალიაში მიულოდნელი პოზიცია დაიკავა შეურიგებელმა ნიკა გვარამიამ, როცა ეგზიტპოლების გამოცხადებით დაშოკილი ნაცმოძრაობა ყალყზე შედგა, მან განაცხადა: თუ ფიქრობთ, რომ მე მსიამოვნებს ეგზიტპოლების შედეგები, ძალიან ცდებით, მაგრამ „რუსთავი-2“ რეალობას აჩვენებს მაშინაც კი, როცა ეს რეალობა ჩვენ წინააღმდეგ არის მიმართულიო.

როგორც ხედავთ, გვარამიამ მათთვის უარყოფითი ინფორმაციაც კი „რუსთავი-2“-ის სარეკლამოდ გამოიყენა, ოღონდ ისიც მიანიშნა, რომ ეგზიტპოლის შედეგები რეალობა იყო და საპროტესტო ხტუნაობა და წივილ-კივილი არ ღირდა.

ჰოდა, ზის ახლა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ტვინს იჭყლეტს, მიიღოს მონაწილეობა მეორე ტურში თუ არა. ფაქტია, რომ ისევ წააგებენ, სამაგიეროდ, რამდენ ყაყანს და „ქართული ოცნების“ ბრალდებას შემატებენ ქვეყანას!

ალეკო ასლანიშვილი

მარტვილში ხმების გადათვლას ითხოვენ

საოლქო საარჩევნო კომისია დღეს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატის ალექსანდრე გრიგალავას საჩივარს განიხილავს.

კერძოდ, ალექსანდრე გრიგალავას შტაბი ათ საარჩევნო უბანზე ხმების გადათვლას ითხოვს.

წინასწარი მონაცემებით, მარტვილის 65-ე საარჩევნო ოლქში მერის არჩევნების მეორე ტური უნდა გაიმართოს. მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებენ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ალექსანდრე გრიგალავა და ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატი მამუკა დანელია.

ნინო ბურჯანაძე ალეკო ელისაშვილს ბრალს სდებს

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ალეკო ელისაშვილს სახელისუფლებო პარტიასთან კავშირში ადანაშაულებს. მისი თქმით, მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, კახა კალაძეს არჩევნებში გამარჯვების მილოცვით, „ქართული ოცნების“ არჩევნებს ლეგიტიმაცია მისცა.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ამბობს, რომ საერთაშოროსო სადამკვირვებლო მისიების დასკვნებიც არჩევნების არადემოკრატიულ ჩატარებაზე მეტყველებს.

ნათელაშვილის აზრით, საარჩევნო ყუთებში დიდი საიდუმლოება დევს

„ლეიბორისტული პარტია“ საარჩევნო უბნების გახსნასა და ხმების თავიდან დათვლას ითხოვს. პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებით, „ლეიბორისტული პარტია“ პროცედურულ მოქმედებებს მალე დაიწყებს.

„როგორც ცნობილია, ხელისუფლებამ უმთავრესი დარტყმა „ლეიბორისტულ პარტიაზე“ მიიტანა, თუმცა საერთო ბარიერი გადავლახეთ. თბილისის ყუთებში და დალუქულ ურნებში დევს დიდი საიდუმლოება, თუ როგორ მოახერხა ივანიშვილის, ბოკერიასა და თარხან-მოურავის ალიანსმა არჩევნების გაყალბება. კატეგორიულად მოვითხოვთ, გაიხსნას თბილისის ყველა უბანი და ცენტრალიზებული წესით თავიდან გადაითვალოს ყველა ხმა. ამის თაობაზე უახლოეს ხანში დავიწყებთ პროცედურულ მოქმედებებს“, – განაცხადა ნათელაშვილმა

თამაზ მეჭიაური არჩევნების შედეგს სასამართლოში ასაჩივრებს

როგორც თავად აცხადებს, თიანეთში ერთი ხმით მოიგო და ამ შედეგს სასამართლოში დაიცავს, რადგან „ქართული ოცნების“ კანდიდატს ხმები ბათილი ბიულეტენების გადათვლის შემდეგ, არასამართლიანად დაუმატეს.

ცესკოს პრესსპიკერის, ანა მიქელაძის განმარტებით, ცესკომ განიხილა „ქართული ოცნების“ საჩივარი, რომელიც მეოცე საარჩევნო უბანზე ბათილი ბიულეტენების ხელახლა გადათვლას შეეხებოდა. რის შედეგადაც თამაზ მეჭიაურს ხმათა 49.97%, ხოლო, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს ლელა ქიტესაშვილს 50.03% აქვს. თიანეთის საარჩევნო ოლქში სულ 10777 ამომრჩეველია.

არჩევნებში მონაწილეობა 6198-მა ამომრჩეველმა (57.51%) მიიღო. აღსანიშნავია, რომ თიანეთში მერის არჩევნებში მხოლოდ ორი კანდიდატი მონაწილეობდა.

საჩხერე-რაჭის გზის მშენებლობა 2018 წელს დაიწყება



რაჭა-საჩხერის **დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რომელიც 2014 წელს დაანონსდა, 2018 წელს იწყება. ამის შესახებ „კომერსანტს“ რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის გუბერნატორმა არჩილ ჯაფარიძემ განუცხადა. მისივე თქმით, რაჭა-საჩხერის გზა თბილისიდან რაჭამდე მანძილს ერთი საათით შეამცირებს.**

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდს უნდა განეხორციელებინა. იმ დროისთვის გზის მშენებლობისთვის ოთხი მარშრუტი განიხილებოდა. თუმცა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდიდან ეს ინფორმაცია გაქრა.

საჩხერე-რაჭის დამაკავშირებელი გზის საპროექტო სამუშაოებზე ტენდერი თავიდან გამოცხადდა და ხორვატიული კომპანიის ქართულმა ფილიალმა სს „ინსტიტუტი იგჰ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ გაიმარჯვა. საპროექტო სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 743 761 ლარით დაფინანსდა.

რაჭის გუბერნატორის თქმით, აღნიშნული პროექტი მომავალი წლის ყველაზე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის უპირატესია.

რაც შეეხება რაჭის რამდენიმე რაიონის სივრცითი მოწყობის გენერალურ გეგმას, რომელზე მუშაობაც გასულ თვეში უნდა დასრულებულიყო, გუბერნატორის თქმით, ვადები შეიცვალა და გაზაფხულზე დასრულდება.

მისი ინფორმაციით, ადგილობრივ ხელისუფლებას რეგიონში დაპირებული რაც ჰქონდა, თითქმის ყველა პროექტი განახორციელა: **„საბოლოო ჯამში ისეთი პროექტი არ გვაქვს, ჩავარდნის საფრთხე რომ ემუქრებოდეს. რაც დაპირებული იყო, რომ მიმდინარე წელს გაკეთდებოდა, წლის ბოლომდე დასრულდება.“**

რაც შეეხება ტურისტულ მიმართულებას, გუბერნატორის თქმით, რეგიონში აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს, მათ შორის ნიკორწმინდის ტაძრის და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

„ამბროლაურსა და ცაგერში ტურისტული ობიექტების მშენებლობა მიმდინარეობს. წლის ბოლომდე ფანჩატურების, წყაროების მოწყობა დასრულდება. ცაგერის რაიონში გადმოსახედებიც გაკეთდება. ამასთან, ნიკორწმინდის ტაძრის რესტავრაციის, მისასვლელი გზის და მიმდებარე შენობების რეაბილიტაციის შესახებ ტენდერი დასრულდა. ამ მიმართულებით ორი მილიონი ლარი დაიხარჯება. უახლოეს დღეებში სამუშაოები დაიწყება და მომავალი წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ტაძრამდე მისასვლელ გზაზე ღობეები შეიცვლება და მიმდებარე ტერიტორია რაჭული, ტრადიციული აივნებითა და ფასადებით მოეწყობა“, – აღნიშნა გუბერნატორმა.

ამასთან, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ რაჭაში ზამთრისთვის ადაპტირებული კურორტები უნდა განვითარდეს. არჩილ ჯაფარიძის თქმით, რეგიონს ეს პოტენციალი გააჩნია და სამთო-სათხილამურო კურორტად რომელი ტერიტორია შეირჩევა, უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

„რაჭას ზამთრის ტურისტულ კურორტად ჩამოყალიბების პერსპექტივა ნამდვილად გააჩნია, კერძოდ კურორტ შოვს. მაღალმთიან სოფლებში თოვლის ხარისხი მისაღებია. შოვსა და უწერაში 200-ზე მეტი მინერალური წყალია. ინვესტორები დაინტერესებულები არიან და იმედია, რომ გააქტიურდებიან. რამდენიმე ადგილი შეირჩა, სადაც სამთო-სათხილამურო ზონის მოწყობა იგეგმება, მათ შორის ბუბას მყინვარი. საპროექტო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. სპეციალისტები სწავლობენ ტერიტორიას და გადაწყვეტენ, სად უფრო შესაძლებელი იქნება სათხილამურო ტრასების მოწყობა. ერთი ვარიანტია შოვში, ე.წ. რკინის წყლის ტერიტორია. კომუნისტების დროს აქ სამოყვარულო ტრასა იყო მოწყობილი. საბოლოოდ სპეციალისტები რომელსაც დაუჭერენ მხარს, შესაბამისი ინფრასტრუქტურა იქ მოეწყობა“, – განაცხადა არჩილ ჯაფარიძემ.

თეონა კენჭიაშვილი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაერთიანებული სამეფოს ორგანიზაციებთან

ლონდონში საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს სტრატეგიული პარტნიორობის უორდროპის დიალოგის ფარგლებში ხელი მოეწერა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბრიტანეთის წამყვანი კვლევითი ცენტრის „უილტონ პარკს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმს.

დოკუმენტს „უილტონ პარკის“ გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის აღმასრულებელი სააგენტოს სახელით ხელი მოაწერა აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მაილს უიკსტედმა, ხოლო საქართველოს მხრიდან ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს საერთაშორისო თანამეგობრობისათვის აქტუალურ საკითხებზე სხვადასხვა სახის გლობალური თუ რეგიონული ღონისძიებებისა და დისკუსიების ორგანიზებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ საკითხებს როგორიც არის გლობალური მმართველობა, ევროკავშირისა და ევროატლანტიკური საკითხები, საერთაშორისო უსაფრთხოება და სტაბილურობა, კონფლიქტის დარეგულირება, მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებები და დემოკრატია, ვაჭრობა და ინვესტიციები.

მემორანდუმში ხაზგასმულია უილტონ პარკსა და საქართველოს შორის წარსული თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მემორანდუმი ითვალისწინებს გრძელვადიან თანამშრომლობას ორ უწყებას შორის, რომელიც მიზნად ისახავს ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე გლობალური გამოწვევების საპასუხოდ ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას.

საქართველოს ტურისტული მიმართულება იტალიის საერთაშორისო გამოფენაზე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ იტალიაში, ქალაქ რიმინიში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე „TTG Incontri 2017“ მიიღო მონაწილეობა. დამთვალიერებლებისთვის საქართველოს შესახებ პრეზენტაცია მოეწყო. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. რიმინიში გამართულ საერთაშორისო გამოფენას 72 ათასზე მეტი დამთვალიერებელი ეწვია. გამოფენას მსოფლიოს 130-ზე მეტი ქვეყნიდან სხვადასხვა ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ.

გამოფენის ფარგლებში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ შეხვედრები გამართა სხვადასხვა ავიაკომპანიის წარმომადგენლებთან, პოპულარული გამომცემლობისა და სატელევიზიო გადაცემების ჟურნალისტებთან.

ვმასპინძლობთ ტყის ხანძრებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის ექსპერტებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის ექსპერტი ტყის ხანძრებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში დიტერ პილატი ეწვია. ექსპერტს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ მალანია შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებისა და განვითარების გეგმაზე ისაუბრეს.

ვიზიტის ფარგლებში ევროკავშირის ექსპერტი ასევე შეხვდა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორს ნიკოლოზ სირაძეს. სტუმარმა თბილისსა და რეგიონებში შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დანაყოფები დაათვალიერა და მათი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო. ევროკავშირის ექსპერტმა ბორჯომის ხეობაში ნახანძრალი ტერიტორიებიც მოინახულა და იქ არსებულ ვითარებას გაეცნო. დიტერ პილატის ვიზიტის მიზანი იყო შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საჭიროებების შეფასება როგორც ორგანიზაციული მოწყობისა და საკანონმდებლო ბაზის მიმართულებით, ასევე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის, მეხანძრე-მაშველთა კვალიფიკაციის ამაღლების და ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.

ტყის ხანძრებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხების ექსპერტის ვიზიტი საქართველოში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოცირების შესრულების ხელშეწყობის პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა.

საველე გასვლა ნახანძრალ ბორჯომის ხეობაში

ბორჯომის ხეობაში აგვისტოს თვეში ნახანძრალ ტერიტორიაზე კომისიამ საველე გასვლა განახორციელა.

კომისიამ ხანძრით დაზიანებული ტერიტორიები დეტალურად შეისწავლა და დაადგინა 2017 წლის 20 აგვისტოს ხანძრით მოცული ტერიტორიის ზუსტი ფართობი დაზიანების კატეგორიების მიხედვით, არსებული ნიადაგური და გეოლოგიური მდგომარეობა ნაკვეთების მიხედვით, ტერიტორიაზე არსებული განადგურებული ფლორა/ფაუნა და მიყენებული ზიანი. შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდება დასკვნები და რეკომენდაციები ნახანძრალ ტერიტორიაზე ტყის აღდგენის დაწყების პროცესებზე, განსახორციელებელი ღონისძიებების ვადებსა და პერიოდზე.

ეროვნული სატყეო სააგენტოს, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით სექტემბერ-ოქტომბერში ხანძრით დაზიანებულ ტერიტორიაზე წინასწარი შეფასებებიც განხორციელდა.

კომისია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა და მის შემადგენლობაში ეროვნული სატყეო სააგენტოს, გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი პროფილის სპეციალისტებთან ერთად, არასამთავრობო სექტორისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებიც შედიან. ბორჯომის ხეობაში ხანძარი მიმდინარე წლის 20 აგვისტოს გაჩნდა, ხანძრის ქრობის პროცესი 6 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. წინასწარი მონაცემებით, ნახანძრალი ფართობი 752 ჰა-ს შეადგენს, საიდანაც 525 ჰა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ხანძრით განადგურებული ტყის ტერიტორიაა.

ცხინვალის აზრით, რას წარმოადგენს ვლადიკავკაზი თბილისისთვის?!

საქართველოს ხელისუფლება, აწყობს რა კონცერტებს ჩრდილოეთ ოსეთში ვითომ კულტურული კავშირების გამყარებისათვის, იმავდროულად არ უშვებს მშობლიურ სოფლებში, სალოცავებზე ოსებს კობიდან, თრუსოს ხეობიდან და აღმოსავლეთ ოსეთის სხვა ტერიტორიებიდან. ანუ, როცა სურთ, აყალიბებენ ოსებთან გარკვეულ ურთიერთობებს – კულტურულს, ჰუმანიტარულს თუ სხვას, მაგრამ სახეზეა ქართული პოლიტიკის მკაფიოდ გამოხატული შერჩევითობა: ერთი მხრივ, სახეზეა აღმოსავლეთ ოსეთის ეთნიკური წმენდა, რათა მთლიანად აღმოფხვრან იქ ოსური ელემენტი, და მეორე მხრივ, მიმდინარეობს მუშაობა საზოგადოებრივ აზრზე ჩრდილოეთ ოსეთში საქართველოს შესახებ გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად“.

მიმდინარე თვის ბოლოს ქართული ანსამბლი „ერისიონი“ ვლადიკავკაზში კონცერტის გამართვას გეგმავს. გასული წლის მსგავსად, წელსაც ეს ფაქტი ცხინვალში მწვავე უკმაყოფილებას იწვევს. ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლება მოუწოდებს ჩრდილოეთ ოსეთის შესაბამის ორგანოებს, კონცერტი გააუქმონ. ერთნი თვლიან, რომ ეს „რბილი ძალაა“ და საქართველო ჩრდილოეთ ოსეთის გამოყენებით მოქმედებს, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ კულტურა და პოლიტიკა გასამიჯნია.

ანალოგიური ვითარება იყო სუხიშვილების ეროვნული ბალეტის კონცერტთან დაკავშირებითაც, რომელიც ვლადიკავკაზში 2015 წლის ბოლოს გაიმართა. საპროტესტო აქციების მიუხედავად, მან მაინც დიდი წარმატებით ჩაიარა. თუმცა წელს გამართულ პრესკონფერენციაზე ანსამბლის ხელმძღვანელებმა – ნინო და ილიკო სუხიშვილებმა განაცხადეს, რომ ოკუპანტი ქვეყნის – რუსეთის ქალაქებში კონცერტებს აღარ გამართავენ.

რაც შეეხება „ერისიონს“, იგი რუსეთის საკმაოდ ხშირი სტუმარია და ამის გამო საქართველოში ხშირად იქცევა კრიტიკის ობიექტად, თუმცა ყოველ ასეთ ჯერზე აცხადებს, რომ პოლიტიკა და კულტურა სრულიად განსხვავებული რამაა.

ოსი ექსპერტი როლანდ ქელეხსაევი თვლის, რომ „საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ოსებთან დაახლოებისთვის ნებისმიერი რესურსი გამოიყენოს, მათ შორის – ჩრდილოეთ ოსურიც“: **„როდესაც ვლადიკავკაზში გასტროლებით ქართული ანსამბლები ჩადიან, საქართველო ჩრდილოეთ ოსეთის გამოყენებით „რბილი ძალის“ პოზიციიდან მოქმედებს. იქ ხომ ცხინვალიდან ჩასულებიც ცხოვრობენ და ისინი (ქართველები) რაღაცნაირად მათი მსოფლმხედველობის შეცვლას, მათში საკუთარი პოზიციებისა და იმიჯის გაუმჯობესებას ცდილობენ. რა თქმა უნდა, მსგავს ღონისძიებებს სამხრეთ ოსეთში ბევრი აპროტესტებს. საქართველოში არსებობენ კოლექტივები, რომლებიც პრინციპულად არ დადიან გასტროლებზე რუსეთში – არც ჩრდილოეთ ოსეთში და არც სხვა რეგიონებში. ეს ტენდენცია 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ დაიწყო. თუმცა არსებობენ ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც მზად არიან მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობისათვის. აქ საქმე იმაში კი არ არის, ვის როგორი პოზიცია აქვს. ზოგიერთი რუსეთს მტრად აღიქვამს და კატეგორიულ უარს აცხადებს საქართველოს ხელისუფლების მსგავს პროგრამებში მონაწილეობაზე, სხვები კი ესოდენ პრინციპულები არ არიან“,** – ამბობს ექსპერტი.

ოსი პოლიტმიმომხილველი იური ვაზაგოვი ასევე დარმუნებულია, რომ მსგავსი კონცერტები, უდავოდ, ქართული პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს:

„საქართველოში დიდად არც მალავენ, რომ სხვადასხვა კულტურულ და ჰუმანიტარულ კავშირებს სწორედ „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებად იყენებენ. მსგავსი ღონისძიებების მიმართ დამოკიდებულება მათ საკმაოდ ერთმნიშვნელოვანი აქვთ. შედარებისთვის შეგვიძლია, მოვიყვანოთ ქართველი საზოგადოებრიობის რეაქცია კულტურის რუსი მოღვაწეების ვიზიტებზე. მათ შეუძლიათ, ვიღაცას უარყოფითი რეაქციის გამოხატვა აუკრძალონ. იქ მკაფიო აღქმაა იმისა, რომ კულტურა – ეს პოლიტიკის ერთ-ერთი ბერკეტია“, – ამბობს ვაზაგოვი.

პოლიტმიმომხილველი რიგ პარალელებსაც ავლებს: **„თავის დროზე არსებობდა საქართველოს ჩრდილოეთკავკასიური სტრატეგია, რომელიც საკაშვილის დროს მიიღეს და ღონისძიებათა ძალიან ფართო სპექტრს მოიცავდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში საზოგადოებრივ აზრთან მუშაობის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრატეგიის ყველაზე მეტად ოდიოზური მეთოდები უკვე აღარ გამოიყენება, მთლიანობაში ამ მუშაობის ძალიან ბევრი ფორმა დღესაც მოქმედებს. ჩრდილოეთ ოსეთი ამ თვალსაზრისით მათი უშუალო ყურადღების ცენტრშია. ისინი ჩრდილოეთ ოსეთში არსებულ საზოგადოებრივ აზრს სამხრეთ ოსეთზე ზეწოლის ბერკეტად განიხილავენ და ეს გეგმა უკვე დიდი ხანია, ხორციელდება“.**

ვაზაგოვი ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ **„საქართველოს სხვადასხვა, მათ შორის კულტურული, სამეცნიერო, ჰუმანიტარული და სხვა არხებით ძალზე მჭიდრო ურთიერთობები აქვს ინგუშურ ორგანიზაციებთან, რეგულარულად იმართება სხვადასხვაგვარი კონფერენციები, შეხვედრები და სხვა სახის ღონისძიებები, ინგუშ ისტორიკოსებს ქართულ არქივებთან წვდომა მისცეს, ქართველი ისტორიკოსები კი ძალზე აქტიურად ცდილობენ 1944 წლის „ინგუშური გენოციდის“ თემის პედალირებას“.**

მისივე თქმით, „ანალოგიური მუშაობა მიმდინარეობს ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებთანაც, ამდენად, ყველა ეს მოქმედება და ღონისძიება ერთ კომპლექსად უნდა განვიხილოთ და ასეთ შემთხვევაში ძნელი მისახვედრი არ არის, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი“.

ამავე დროს, ექსპერტის აზრით, მსგავს ღონისძიებებს თავად ჩრდილოეთ ოსეთშიც ყველა როდი მიესალმება:

„შემიძლია, შეგახსენოთ, რომ გასულ წელს ქართული ანსამბლების კონცერტები საპროტესტო აქციების ფონზე იმართებოდა. ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ბევრი ახალგაზრდა გამოხატავდა თავის პროტესტს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია მრავალეროვანი რესპუბლიკაა, იქ ბევრია არაოსიც, რომელიც, ცხადია, სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებს ესოდენ მტკივნეულად არ აღიქვამს, არ ჰქონია რა პირდაპირი შეხება ქართულ აგრესიასთან. შესაბამისად, ბუნებრივია, ყველას განსხვავებული რეაქცია აქვს. თუმცა დავაკვირდეთ: საქართველოს ხელისუფლება, აწყობს რა კონცერტებს ჩრდილოეთ ოსეთში ვითომ კულტურული კავშირების გამყარებისათვის, იმავდროულად არ უშვებს მშობლიურ სოფლებში, სალოცავებზე ოსებს კობიდან, თრუსოს ხეობიდან და აღმოსავლეთ ოსეთის სხვა ტერიტორიებიდან. ანუ, როცა სურთ, აყალიბებენ ოსებთან გარკვეულ ურთიერთობებს – კულტურულს, ჰუმანიტარულს თუ სხვას, მაგრამ სახეზეა ქართული პოლიტიკის მკაფიოდ გამოხატული შერჩევითობა: ერთი მხრივ, სახეზეა აღმოსავლეთ ოსეთის ეთნიკური წმენდა, რათა მთლიანად აღმოფხვრან იქ ოსური ელემენტი, და მეორე მხრივ, მიმდინარეობს მუშაობა საზოგადოებრივ აზრზე ჩრდილოეთ ოსეთში საქართველოს შესახებ გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად“.

რაც შეეხება უშუალოდ ანსამბლ „ერისიონს“, ვაზაგოვის აზრით, მიუხედავად ანსამბლის აპოლიტიკურობისა, არსებულ პირობებში პოლიტიკისგან შორს დგომა მაინც შეუძლებელია:

„საქართველოში არიან კულტურის მოღვაწეები, რომლებიც რუსეთში მუშაობენ და ზოგიერთმა მათგანმა საკაშვილის ქმედებები დაგმო. თუმცა ამ ადამიანების უმრავლესობა ძალზე ხისტად მოეკიდა 2008 წლის მოვლენებსა და რუსეთის ქმედებებს. მათი მხრიდან ისმოდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები რუსეთისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საკმაოდ საღად და ობიექტურად აფასებდნენ ვითარებას. შესაძლოა, საქართველოში არსებობენ მოღვაწეები, რომლებიც პოლიტიკისგან დისტანცირებას და მხოლოდ კულტურით დაკავებას ცდილობენ, თუმცა ზოგადი ტენდენცია იმგვარია, რომ შეიმჩნევა კულტურის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება“.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ქართველ კავკასიოლოგ **გელა ხმალაძეს**. როგორც ხმალაძე „აქცენტისთვის“მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, საქართველოს ხელისუფლებას არც ფარული და არც ღია ჩრდილოეთკავკასიური პოლიტიკა არა აქვს, შესაბამისად, „რბილ ძალაზე“ საუბარი უადგილოა:

„არანაირად არ ვფიქრობ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით რაიმე პოლიტიკას აწარმოებს, არც ღიად და გაცხადებულად, არც კულუარულ დონეზე. 2012 წლის შემდეგ ოფიციალურ თბილისს რუსეთისაგან მკვეთრი მესიჯი აქვს მიღებული, რომ ჩრდილოეთ კავკასიასთან დაახლოების კუთხით გადადგმულ ნებისმიერ აქტივობას მოსკოვი აღიქვამს მტრულ საქმიანობად. ამიტომ, დღევანდელი ვითარება რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკის ჩარჩოებში ჯდება“.

ამასთან, კავკასიოლოგი აღნიშნავს, რომ ოსების შიშები უსაფუძვლო არ არის და რეალურად ის სულ სხვა მიზეზებით არის განპირობებული:

„არ ვიცი, ვინ არის რუსეთის ფედერაციაში „ერისიონის“ მიმწვევი მხარე, ვინ შეარჩია ის ქალაქები, სადაც ამ ანსამბლმა კონცერტები უნდა გამართოს, რა პრინციპით შეირჩა ვლადიკავკაზი. ამაზე პასუხს ალბათ თავად „ერისიონის“ ხელმძღვანელები უკეთ გასცემენ. თუმცა არ მგონია, რომ აქ ქართული „რბილი ძალის“ კონტურები იკვეთებოდეს. როგორც წესი, მიმწვევი მხარე და თავად ანსამბლი კონცერტებს ფინანსური მომგებიანობის კუთხით გეგმავენ ხოლმე. შესაძლოა, ვლადიკავკაზი შეირჩა თბილისთან ტერიტორიული სიახლოვის და შესაბამისად, მინიმალური სატრანსპორტო დანახარჯებს გამო. ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში 10-ათასიანი ქართული დიასპორაა, ასევე ცხოვრობს საქართველოდან წასული ბევრი ოსი, რომელთათვისაც ქართული კულტურული ტრადიციები უცხო არ არის და შესაბამისად, ბილეთების გაყიდვის პრობლემა არ იქნება. აქედან გამომდინარე, ცხინვალელი ოსების მხრიდან შიში და პანიკა, რომ „ერისიონის“ ჩასვლით ქართველები ოსების გულის მოგებას და დაახლოებას ჩრდილოეთ ოსეთიდან შეეცდებიან, გადაჭარბებულად და უადგილოდ მეჩვენება. ცეკვა-სიმღერით რაც არ უნდა ოსების გული მოვიგოთ, კონფლიქტის მოგვარების კუთხით არც ოსები შეიცვლიან პოლიტიკურ ორიენტაციას და არც რუსეთი გადმოდგამს შემხვედრ ნაბიჯს. თუმცა უნდა ვთქვა, რომ ცხინვალელთა ასეთი შიში არც მთლად უსაფუძვლოა. ბოლო წლებში ჩრდილოეთ ოსეთში ბევრი, განსაკუთრებით საქმიანი ადამიანები ღიად თუ ფარულად გამოხატავენ უკმაყოფილებას, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გამო ჩრდილოელი ოსები და ზოგადად ამ რესპუბლიკის ეკონომიკა ბევრს კარგავს იმით, რომ შეზღუდული აქვთ საქართველოსთან კონტაქტის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ბიზნესურთიერთობების კუთხით. მეტიც, ოსურ საზოგადოებაში ფიქრობენ, რომ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ხელიდან უშვებს შანსს, შეასრულოს სატრანზიტო ჰაბის ფუნქცია რუსეთის ფედერაციასა (ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონსა) და საქართველოს შორის. ამის გამო დღეს ეს რესპუბლიკა გადაქცეულია გეოპოლიტიკურ ჩიხად და ადგილობრივი ეკონომიკა ღრმა სტაგნაციას განიცდის. ვლადიკავკაზელები იძულებულნი არიან, ანგარიში გაუწიონ ცხინავალელთა სეპარატისტულ ამბიციებს და თავადაც ამ სიტუაციის მძევლები არიან. სწორედ აქედან მოდის ცხინვალელი ექსპერტების შეშფოთება – ცდილობენ, რათა ამ კვაზი-სახელმწიფოს არსებობა არ დაავიწყდეთ საკუთარი პრობლემებით დამძიმებულ ჩრდილოელ თანამოძმეებს“.

„აქცენტი“

ხევის ტურისტული რუკა - პოემად

გარეგნულად ერთი ბეწოა:

საქართველოს ერთი კუთხის ტურისტული რუკა როგორიც შეიძლება ყოფილიყო.

არადა, დიდი გარჯის ნაყოფი:

ტურისტული რუკის შედგენას რომ ესაჭიროება, მით უმეტეს არაერთი ტოპონიმის სახელწოდება ჯერაც დასადგენი და დასაზუსტებელი რომ გამხდარა და შემდგენლებს ცოტა დრო არ დაეხარჯებოდათ მათ მოძიებაში – ისტორიულ წყაროებში დოკუმენტურად დადასტურებულისა თუ ზეპირად მოღწეულში.

ასეთ დროს მკვლევარიც უნდა იყო.

და – ფოტოხელოვანიც, რათა ყველასათვის ხელმისაწვდომი და თვალშესავლები გახადო და ცნობის წადილის აღმძვრელ-გამღვივებელი ეს მშვენიერი სანახები.

ნაბიჯ-ნაბიჯ რომ უნდა დაიარო მთელი კუთხე, ეს კიდევ ცალკე. მანამდე რამდენჯერაც უნდა მოგევლო, არ იკმარებდა ასეთი საპასუხისმგებლო საქმის აღსრულებისას: ჯერ შენი მხარის წინაშე რომ ხარ მოვალე, რაც შეიძლება სრულყოფილი მეგზური თუ გზამკვლევი გაამზადო, და მერე მთელი საქართველოსი.

თანაც გარდა თავისთავადი დანიშნულებისა, ხევის ტურისტულ რუკას უნდა გაეღვივებინა ინტერესი ამ ყაიდის გზამკვლევთა შესადგენად: ყველა მხარე ჩვენი ქვეყნისა ტურისტულ რუკებზეც რომ უნდა აღიბეჭდოს – ფოტოსურათებითაც გაწყობილი.

ხევის ტურისტულ რუკას ის მრავალმხრივი მნიშვნელობაც აქვს, ყველა კუთხის გზამკვლევებმა რომ უნდა იტვირთონ: გეოგრაფიული, საზოგადოებრივი, სოციალური, პოლიტიკური, ხელოვნებათმცოდნეობითი, ლიტერატურული.

ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ნიშები რომ იქნება დატანილი ამ ყაიდის რუკებზე, ამას გარდა ლიტერატურული სავანეებიც საგანგებოდ უნდა მოინიშნოს – მწერალთა საცხოვრისებიც და მათ პერსონაჟთა სამოქმედო არეალიც.

ხევის ტურისტულ რუკას რომ ეცნობი, უპირველესად ის გრძნობა გიჩნდება, ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ სამყაროში მოხვედრილს რომ უნდა დაებადოს და ხელახლა გამოსცადოს მის პერსონაჟთა ბედი თუ უბედობა, უფრო მაინც უბედობა, ყველა ის ტოპონიმი, მეხსიერებაში გაუხუნრად ჩაბეჭდილი, ახლებურად რომ შემოანათებს და მძაფრად წამოაგონებს თავისი ცხოვრების ერთ-ერთ მღელვარე და აღმტაც ხანას – ამ სამყაროში მოუწყინრად ტრიალისა.

ბეთლემი და გაიბოტენი, სტეფანწმინდა და დარიალი ილია ჭავჭავაძის სახებასაც რომ გამოიხმობს, ესეც რა გასაკვირია.

ჯერ მარტო ამიტომაა ეს რუკა ძვირფასი!..

აგერ თუნდ შეხედავ გერგეტის სამების ულამაზეს პეიზაჟს – ცაში ატყორცნილ ეკლესიას და... გარდა ესთეტიკური მშვენიერებისა, თვალდათვალ იხილავ „ხევისბერ გოჩას“ ფინალურ სცენას, ანტიკური ტრაგედიის დასადარს თავისი გულისშემძვრელობითაც და შთამბეჭდაობითაც, ალექსანდრე ყაზბეგის ხელოვნება მონუმენტურ სიმაღლეს რომ აღწევს...

ამოიკითხავ გაიბოტენს და... თვალდათვალ ამოგიჩნდება ლელთ ღუნიას ლანდი.

კარგი იქნება, თუ ამ რუკის ხელმეორე გამოცემისას – რასაც აუცილებლად დაისაჭიროებს ეს მხარეც და ჩვენი ქვეყანაც – საგანგებოდ აღინიშნება მერაბ ფირანიშვილის მიერ ქვაში ხორცშესხმული ღიაცისქვეშა მუზეუმი, შიოლა ღუდუშაურის კოშკს რომ გაჰყურებს და თანადროულობის გამორჩეული ქანდაკებებით დასახლებულა – შოთა რუსთველის, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის სახებანი იესო ქრისტეს მონუმენტური პორტრეტითაც რომ უნდა შევსებულიყო, ქვაში ამეტყველებული ტანჯვის სურათით, კვარცში რომ გამოკვეთილა, რაც უჩვეულო მოვლენაა ქანდაკების ისტორიაში.

ამასობაში ეს მუზეუმიც კიდევ უფრო შეივსება.

ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იორამ ღუდუშაურის ის მონაღვაწი, სნოს ლანდშაფტზე რომ აღბეჭდილა... და მისი კარ-მიდამო, უსათუოდ რომ შეიძენს მუზეუმის სტატუსს, მატერიალური და ისტორიული კულტურის ძეგლისა – ბოლოს და ბოლოს ის ჯადოსნური ბაღი მოითხოვს ამას, ზღაპრებიდან ცნობილი ბაღებისა არ იყოს – რიგი ხეხილი რომ ყვავილობს, რიგი მწიფს და რიგიც იკრიფება.

შესანიშნავი ხუთეული შეიკვროდა ამ უაღრესად შრომატევადი და... პოეტური საქმის აღსასრულებლად: **ანა გელაშვილი, გიორგი ზაგაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, იაგო კაზალიკაშვილი და ოთარ წამალაიძე,** რომელთაგანაც **ეთერ თათარაიძე** ხევის ტურისტული რუკის წარდგინებაზე გამოარჩევდა მის სულისჩამდგმელს:

– რარიგ გვიხარია ყველას, რომ ანა გელაშვილი სულ უფრო მეტი სასიკეთო საქმის შუაგულში ტრიალებს და ამშვენებს და ალამაზებს ყველაფერს.

იგულისხმებდა მის გარეგნულ სილამაზესაც და სულიერ მომხიბვლელობასაც, ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნისადმი მიძღვნილ თავყრილობათა სერიასაც რომ გააცისკროვნებდა და ტაო-კლარჯეთში განხორციელებულ ექსპედიციათა ერთ რკალსაც, ამ გზაზე სრულიად უცნობი ეკლესიებიც რომ უნდა აღმოეჩინათ – ცნობილ ტაძართა ადგილსამყოფელთა დაზუსტებასთან ერთად.

ხევის ტურისტული რუკაც ერთ საგულისხმო ფურცლად ჩაიბეჭდება მის ბიოგრაფიაში, მისი ქართული და ინგლისური ვერსიები, ეს უკვე უცხოელთათვის ხელმისაწვდომად – ბოლოს და ბოლოს სათაურიც გვიდასტურებს ამ დანიშნულებას.

დაე, მოიმარჯვონ უცხოელებმა ეს რუკა, წინასწარვე უკვე მოიხიბლნონ **ვანო ფიცხელაურის, პაატა ვარდანაშვილის, ოთარ წამალაიძისა** და **გიორგი გომიაშვილის** ფოტოებითაც და ცალკეულ ადგილთა დაწურული და ტევადი დახასიათებითაც, და უკვე თავდაჯერებითაც გაიკვლიონ გზა ხევის უჩვეულო სამყაროში, ვიდრე ასეთივე გამოცემები სხვა მხარეთა არანაკლებ უჩვეულო სამყაროთა ბილიკებზეც გაიყოლიებთ.

დაე, მოვიმარჯვოთ ჩვენც და ზოგმა პირველად და ზოგმაც ხელახლა აღმოვაჩინოთ ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟთა სამოქმედო სივრცე, იმ პოეტურობით აღბეჭდილი, მარტოდენ ტოპონიმთა ჩამოთვლაც ისე რომ ჩაგვესმის, თითქოს ლექსის სტრიქონებს ვმარცვლავდეთ, თითქოს მელოდიას ვუსმენდეთ, შორეულსაც და ახლობელსაც ერთსა და იმავე დროს: ქეთრისი და ბუყბუყა ტბა და ზაქაგორი და კართსოფელი და ბურმასიგი და ტეფი და რესი და ყელიწადის ტბა და ყანობი და გარბანი და არშა და გაიბოტენი და ფანშეტი და სნო და ახალციხე და წვერის სპათანგელოზი და ჯუთა და... სტეფანწმინდა და ბეთლემი და გველეთი და დარიალი და... მანის ხეობა და თრუსოს ხეობა და ხდის ხეობა და... გერგეტი და სიონი და... ისე ანანურს, ჯვრის უღელტეხილსა და გუდაურს ძალიან რომ მივაჩვიეთ ყური, თორემ განა ნაკლები მუსიკალობით აღვსილან?!.



ვისთვის ეს გამოცემა უფრო ტურისტული რუკაა, საკმაოდ მაღლა აწეული თამასა თავისი პროფესიონალიზმით.

ვისთვის – უფრო პოემა, მოხდენილად შეკრული სიუჟეტური ქარგითა და ლირიკული ჩანართებით.

და ვართ ახალ-ახალი რუკებისა თუ პოემების მოლოდინში...

როსტომ ჩხეიძე

NIPPON-ის ფონდის თავმჯდომარე თბილისში ოფიციალურ შეხვედრებს მართავს

გუშინ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია საქართველოში ვიზიტით მყოფ უმსხვილესი საგანმანათლებლო ფონდის NIPPON-ის თავჯდომარეს იოჰეი სასაკავას შეხვდა. მხარეებმა ფონდსა და საქართველოს შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

იაპონური ფონდი მსოფლიოს მასშტაბით 100-ზე მეტ ქვეყანასთან ძირითადად საზღვაო და სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობს და 20-ზე მეტ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გიორგი ჩერქეზიშვილმა განაცხადა, საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა, ითანამშრომლოს მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საგანმანთლებლო ორგანიზაციასთან. **„ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია ეს ვიზიტი. NIPPON-ის ფონდი გახლავთ საზღვაო სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით ბევრ პროგრამას ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამების ფარგლებში 10 ქართველს კვალიფიკაციის გადამზადების შესაძლებლობა მიეცა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დოქტორ სასაკავასთან და ნიპონის ფონდთან გავაღრმავებთ ურთიერთობას და საქართველოშიც ჩამოყალიბდება ტრენინგცენტრი, რომელიც მთელ რეგიონს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მოემსახურება,“** – აღნიშნა გიორგი ჩერქეზიშვილმა.

იოჰეი სასაკავას ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და ფონდი NIPPON-ის ერთობლივი ორგანიზებით სასტუმრო Radisson Blu Iveria-ში გაიმართა ფონდის შავი და კასპიის ზღვის რეგიონის 4 სასტიპენდიო პროგრამის სტიპენდიანტთა კონფერენცია. მისი მიზანია საზღვაო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრინციპების ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარება და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განხილვა.

„თბილისის აბრეშუმის გზის“ ფორუმი

2017 წლის 28-29 ნოემბერს, „თბილისის აბრეშუმის გზის“ რიგით მეორე ფორუმი გაიმართება, რომელშიც მსოფლიოს 50-მდე ქვეყნიდან 1000-ზე მეტი დელეგატი მიიღებს მონაწილეობას. ფორუმი საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატრონაჟით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ტარდება.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ აზიასა და ევროპას შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების გაღრმავების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. ფორუმი მიზნად ისახავს, შექმნას და დაამკვიდროს სადისკუსიო პლატფორმა, სადაც აბრეშუმის გზის ინიციატივის ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები განიხილავენ თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებსა და კავშირებს საერთაშორისო და რეგიონალური ვაჭრობის სფეროში.

ფორუმის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: ვაჭრობის ხელშეწყობა, ელექტრონული კომერციის განვითარება, ციფრული კავშირი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკის სფეროში რეგიონთაშორისი შესაძლებლობები და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს“ გახსნის საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართავენ უცხო ქვეყნის მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები. გაიმართება მაღალი დონის დისკუსიები.

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს“ საფუძველი 2015 წელს ჩაეყარა.

◎ სიმართლის პირისპირ

რუსეთი ქართულ „მეხუთე კოლონას“ აძლიერებს

დღეს, იმ დროს როცა, 1993 წლის 27 სექტემბერს, აფხაზეთში დახვრეტილი საქართველოს ეროვნული გმირის, სოხუმის მერის გურამ გაბესკირიას, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლების: არშაველ შენგელიას და ვახტანგ გეგელაშვილის, უშიშროების პოლკოვნიკის მამია ალასანიას და კიდევ 20 ქართველი მებრძოლის 24 წლის შემდეგ ნაპოვნი ნეშტები, ქართულ მიწას ხელახლა სამხედრო პატივით მიაბარეს, რუსეთის ქალაქ სოჭში საქართველოს სახელმწიფო დროშა, ოკუპირებული აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტულ დროშებთან ერთად ფრიალებდა.

რუსეთი ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მე-19 მსოფლიო ფესტივალს (WFYS) მასპინძლობს და 150 მონაწილე ქვეყნის ჩამონათვალში, კრემლის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თვითგამოცხადებული კვაზი-ანკლავების: „ლუგანსკის რესპუბლიკის“, „დონეცკის რესპუბლიკის“, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გვერდით Солнечная Грузия-საც შეხვდებით.

„საქართველოს ახალგაზრდულ დელეგაციას“ სოჭში, რუსეთის მართლმსაჯულების სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ყაზანში გაზრდილი ნესტან ჩიტაია ხელმძღვანელობს.

მამა – სოხუმური ფესვების მქონე ზაურ ჩიტაია, ამავე ინსტიტუტში კათედრის დოცენტი და თათრეთის რესპუბლიკაში ცნობილი იურისტია. არის რუსეთის მმართველი პარტია „ედინა რასიას“ წევრი.

თავად ნესტანი ბოლო დრომდე „რუსეთის ახალგაზრდობის კავშირის“ თათრეთის რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი იყო და ცხოვრებისეული დევიზიც შესაბამისი ჰქონდა – „Россию строить молодым“. თუმცა, შარშან, „ქართულ ფრონტზე“ გადმოისროლეს და ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მსოფლიო ფესტივალისთვის „საქართველოს დელეგაციის“ ფორმირება დაავალეს.

ნესტან ჩიტაია ბედნიერია იმით, რომ საქართველოში 300 თანამოაზრე იპოვა და სოჭში 87 ქართველის წაყვანა მოახერხა:

საქართველოს დელეგაციის წევრობაზე 300 განაცხადი იყო მთელი ქვეყნიდან შემოსული და 87 მონაწილე შეირჩა, ანუ ჩვენებს კარგად ესმით, მათი აქ ყოფნის ფასი“.

სოჭში გამგზავრებამდე „საქართველოს ახალგაზრდობის დელეგაციის“ წევრებმა რუსი ინსტრუქტორების დარიგებები მიიღეს. სპეციალურად ამ მისიით აგვისტოში თბილისს რუსეთის ფედერაციის დუმასთან არსებული ახალგაზრდული პარლამენტის წევრი ელენა ერკინა ეწვია, რომელიც პარალელურად „რუსეთის მოხალისეთა კავშირის“ (Союз добровольцев России) მორდოვეთის ფილიალის თანათავმჯდომარეა.

აგვისტოშივე ნესტან ჩიტაიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შეუძლია რუსეთის ერთწლიანი მულტივიზის აღებაში დახმარება, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს დაჩქარებული წესით, 600 აშშ დოლარი დაუჯდებოდათ.

„საქართველოს ახალგაზრდული დელეგაციის“ ფორმირების შემდეგ, „ეროვნულმა საორგანიზაციო კომიტეტმა“ განაცხადა, რომ დელეგაციის წევრები „საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელს და კუთხეს წარმოადგენენ“, თუმცა უსაფრთხოების მიზნით, საიდუმლოდ დატოვა როგორც მათი, ისე, იმ „სპონსორთა“ ვინაობა, რომლებმაც სოჭში 87 ქართველი სტუდენტის ერთკვირიანი ვოიაჟი დააფინანსეს. ინფორმაციისთვის, რუსეთის ბიუჯეტს WFYS-ის მასპინძლობა 4,5 მილიარდი რუბლი, დაახლოებით 80 მილიონი აშშ დოლარი უჯდება.

ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მე-19 მსოფლიო ფესტივალი სოჭში კვირას რუსეთის პრეზიდენტმა გახსნა და 20 000 მონაწილეს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

შექმენით თქვენი მომავალი, შეეცადეთ, შეცვალოთ ეს სამყარო, გახადოთ ის უკეთესი. ყველაფერი თქვენს ძალაშია. მთავარია ჯიუტად მხოლოდ წინ იაროთ“

სოჭის ყინულის დარბაზ „ბოლშოიში“ პრეზიდენტ პუტინის ამ სიტყვებს „საქართველოს“ და „აფხაზეთის“ „ახალგაზრდობის დელეგაციები“ გვერდიგვერდ მჯდომნი უსმენდნენ და დროშებს აფრიალებდნენ. იქვე იყო დელეგაცია „სამხრეთ ოსეთიდანაც“.

საზეიმო ცერემონიის შემდეგ, ერთ-ერთი ოსი სტუდენტის კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა „სამხრეთ ოსეთის“ ჩრდილეოთ ოსეთთან გაერთიანება, WFYS-ის გახსნაზე მყოფმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სტუდენტებს ძირძველი ქართული მიწის ისტორიის „ახალი“ „რუსული ვერსია“ გააცნო:

„საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ოსეთი ერთიანი იყო, შემდეგ გადაწყვიტეს და ოსეთი ორად გაყვეს. მაშინ ასეთი ფორმით ბევრი მიწა გადასცეს სხვა რესპუბლიკებს. ყირიმის მაგალითიც კმარა“, რუსეთის არმიამ არ დაუშვა, რომ საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტ სააკაშვილს ძალით გადაეჭრა ტერიტორიული პრობლემა. ჩვენ სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტს პატივს ვცემთ და მომავალშიც დავიცავთ.“

ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მსოფლიო ფესტივალის იდეა სათავეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იღებს. მის მედროშეებად „ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის“ (Young Communist International) მემკვიდრეები: „დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია“ (WFDY) და „სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი“ (IUS) იქცნენ.

საბჭოთა კავშირის ფინანსური და იდეოლოგიური მხარდაჭერით, პირველად მსოფლიო ფესტივალი 1947 წელს, პრაღაში გაიმართა და მემარცხენე სტუდენტური ორგანიზაციების მთავარ არენად იქცა. მთავარი ლოზუნგი მაშინ იყო – „გაუმარჯოს ანტიმპერიალისტურ სოლიდარობას, მშვიდობას და მეგობრობას.“

2017 წლის ფესტივალის ლოზუნგი კი ასე ჟღერს: „გაუმარჯოს მშვიდობას, სოლიდარობას და სოციალურ სამართლიანობას! ჩვენ ვიბრძვით იმპერიალიზმის წინააღმდეგ – პატივს ვცემთ ჩვენს წარსულს და ვაშენებთ ჩვენს მომავალს!“

„ამერიკის ხმა“

თურქეთი - ნატო – განქორწინება ამერიკულად?

ქურთისტანის სახით ახლო აღმოსავლეთში დაპირისპირების ახალი წყარო ჩნდება. ქურთისტანის რეგიონის ერაყისგან გამოყოფას უარყოფითად აფასებს აშშ და გაერო. ასეთივე პოზიცია აქვს ირანის და თურქეთის ხელისუფლებას. მსოფლიო ლიდერებს მიაჩნიათ, რომ რეგიონის ერაყისგან გამოყოფა კონფლიქტს გამოიწვევს და სეპარატიზმს ხელს შეუწყობს. ანალიტიკოსების შეფასებით, საერთო ჯამში ერაყის ტერიტორიაზე ქურთისტანის ავტონომიის არსებობა რუსეთის ინტერესში შედის.

თავის მხრივ, თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, გარკვეული ძალების გეგმების თანახმად, თურქეთის საზღვრებთან ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი უნდა შეიქმნას. თუმცა, როგორც თურქეთის ლიდერი აცხადებს, თურქეთი თავის საზღვრებთან ახალი სახელმწიფოების შექმნას არ დაუშვებს. მისი თქმით, თუ ანკარა არაფერს მოიმოქმედებს, ეს გეგმები განხორციელდება. ერდოღანი ამბობს, რომ თურქეთის რეაქცია ცოტათი დაგვიანებულიც კი არის.

„ზოგიერთი ძალა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ცდილობს ზიანი მიაყენოს თურქეთს. ეს ძალები ცდილობენ თურქეთის გაკონტროლებას და ქვეყნის იმ დროში დაბრუნებას, როდესაც თურქეთი ყველაფერს ეთანხმებოდა, რასაც ეუბნებოდნენ.მათ არ შეუძლიათ ის ფაქტი მიიღონ, რომ თურქეთი ძლიერი სახელმწიფო გახდა, რომელსაც მოვლენების განვითარების საკუთარი ხედვა აქვს“, – განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტი ირწმუნება, რომ თურქეთი მტკიცე ნაბიჯს დგამს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის კუთხით, რაც, მისი თქმით, სერიოზულად აშფოთებს ზოგიერთ წრეს და რომ არსებობს მასშტაბური გეგმა თურქეთის განვითარების შესაფერხებლად.

როგორც ერდოღანი აცხადებს, **„ეს ბინძური გეგმა მოიცავს ეკონომიკურ საბოტაჟს, ტანკებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებულ პუტჩისტებს, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების შექმნის მცდელობებს“**. მისი თქმით, ასევე ითვალისწინებს ტერორისტული დაჯგუფებების მხარდაჭერას და სწორედ ამ კონტექსტში აშშ ტერორისტებისთვის იარაღის უსასყიდლოდ მიწოდებაში დაადანაშაულა.

„როდესაც თურქეთი აშშ-ს იარაღის ყიდვის თხოვნით მიმართავს, ვაშინგტონი საბაბად კონგრესის თანხმობის საჭიროებას ასახელებს, თუმცა როდესაც საქმე ეხება ტერორისტულ ორგანიზაციებს, მათ იარაღს უსასყიდლოდ აწვდიან. ასევე, ბრიუსელი დაპირებებს იძლევა, შემდეგ კი მათ არ ასრულებს, ვინაიდან ევროკავშირის წარმომადგენლები არაკეთილსინდისიერი ხალხია.

მთელი მათი ცხოვრება ერთი სიცრუეა. ჩვენ არასოდეს გვინახავს გულწრფელობა ევროკავშირის პოზიციებში. თურქეთის პოლიტიკა საერთაშორისო დონეზე უკანონობასთან და უსამართლობასთან ბრძოლაში გარკვეული ძალების უკმაყოფილებას იწვევს. ძლიერი თურქეთი შიშს იწვევს ანკარის მტრებში. რაც მთავარია, თურქეთი სხვა ქვეყნებისთვის მაგალითი და იმედი ხდება“, – განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.

მაშ ასე, თურქეთი სტრატეგიულ პარტნიორს აშშ-ს უპირისპირდება და ტერორისტებისთვის იარაღის უსასყიდლოდ მიწოდებაში ადანაშაულებს. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ამბობს, რომ თურქეთის ლიდერი გულისხმობს არა ისლამურ სახალიფოს, არამედ ქურთების საკითხს, რომლებიც ერდოღანის შეფასებით ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან.

– ფაქტია, რომ ამერიკა ქურთებს აწვდის შეიარაღებას, ხოლო თურქეთი თვლის, რომ ეს არის ტერორისტული ორგანიზაცია. ერდოღანმა ისიც თქვა, რომ დასავლეთის მხარდაჭერით შეიქმნა ისლამური სახალიფო. ფაქტია, რომ ამერიკასა და თურქეთს შორის ვითარება დაიძაბა, – აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ.

მისი თქმით, ამერიკა-თურქეთს შორის უკვე გაჩნდა სერიოზული დაპირისპირება საკმაოდ პრინციპულ თემებთან დაკავშირებით. მათ შორის ეს არის ფეთჰულა გიულენის თემა, რის საფუძველზეც დაიწყო დაპირისპირება ორ სახელმწიფოს შორის.

– ტერორისტული ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ბრალდებით დააკავეს ამერიკის საკონსულოს ორი თანამშრომელი, ამერიკის ელჩი თურქეთში ჯონ ბასი გამოცხადდა პერსონა-ნონგრატად. ეს უკვე ადასტურებს, რომ ორი ძლიერი სახელმწიფო ერთმანეთს ღიად დაუპირისპირდა. შეიძლება, თურქეთმა უარი თქვას ნატოს წევრობაზე და სხვა პროცესები დაიწყოს.

ნატო – ეს არის უსაფრთხოების ერთ-ერთი სტრუქტურა და, ბუნებრივია, ამერიკელების გავლენა ძლიერი და უპირობოა. არ გამოვრიცხავ, რომ ვითარება ამ კონდიციამდე მივიდეს. მით უმეტეს, რომ ერდოღანმა ყოველგვარ დემოკრატიას გადაუსვა ხაზი. დღეს თურქეთში არის ავტორიტარული რეჟიმი, ამიტომ არ გამოვრიცხავ თურქეთისგან ნატოს დატოვებას, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

პოლიტოლოგ **სოსო ცისკარიშვილის** შეფასებით, მიმდინარე მოვლენები დასტურია იმისა, რომ თურქეთის პრეზიდენტისთვის ეს პერიოდი არ არის საუკეთესო თავის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში, რადგან ერდოღანს სხვადასხვა მხრიდან უწევს ისეთი წინადადებების გაჟღერება, რომლებიც ხშირ შემთხვევებში ერთმანეთს ეწინააღმდეგება კიდეც.

– „რასაკვირველია, ქურთისტანის საკითხი თურქეთისთვის ახალი თავის ტკივილის საფუძველია. მაგრამ არის სხვა პრობლემები. მაგალითად, როდესაც სტუმრად მიიღო რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, სრულიად მკაფიოდ აჟღერებდა კმაყოფილებას რუსეთის მიმართ. მაგრამ როდესაც რამდენიმე კვირის წინათ თავად ესტუმრა უკრაინას, სრულიად კატეგორიულად განაცხადა, რომ დონბასი და ყირიმი იქნება უკრაინის შემადგენლობაში და არასოდეს იქნება რუსეთის შემადგენელი ნაწილიო.

ჩვენთვის უცნობია, დახურულ კარს მიღმა ასეთი რა ეწყინა თურქეთის პრეზიდენტს რუსეთის პრეზიდენტისგან, მაგრამ ამერიკის მიმართ მას შეუვალი პრობლემები აქვს, რომელიც საკუთარ მოსახლეობაში იბადება ამბოხებულთა წარმოჩენის სურვილით. მიუღებლობა ამერიკის პოლიტიკური მიმართულებებისა გახლავთ ის, რომ მას არ გადასცეს ადამიანი, რომელიც თურქეთის პრეზიდენტის წარმოდგენით არის ყველაზე დიდი ბოროტება“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოსო ცისკარიშვილი.

პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი **თამარ კიკნაძე** თვლის, რომ იმ ფონზე, როდესაც ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება, საკმაოდ საშიშია განცხადებები, რომელსაც ერდოღანი აკეთებს. შესაბამისად, კიკნაძე თვლის, რომ გადასახედი იქნება ნატოს როლი მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებში.

„აქ ლაპარაკი არის მსოფლიო წესრიგის რადიკალურ ცვლილებებზე. იმ წესრიგის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის და საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ შეიქმნა, როდესაც ამერიკა იყო ერთდერთი ჰეგემონი ქვეყანა, აი ამ მსოფლიო წესრიგს შეექმნა სერიოზული პრობლემები. დღეს ახალი კავშირების, ინტერესების და სტრატეგიული პარტნიორების ფორმირების პროცესში ვართ“, – ამბობს თამარ კიკნაძე.

რაც შეეხება ამერიკა-თურქეთის ურთიერთობებს და ბრალდებებს, როდესაც სტრატეგიულ პარტნიორს ბრალს სდებს ტერორისტების შეიარაღებაში, პოლიტოლოგი ამბობს, რომ ერდოღანი პოპულისტია. შესაბამისად, მისი განცხადებები მნიშვნელოვანწილად შიდა ბაზრისთვის არის გათვლილი.

„ანუ როგორი ძლევამოსილი ადამიანია, რომ ისეთ მნიშვნელოვან ქვეყანას, როგორც აშშ-ია როგორი რიტორიკით ელაპარაკება. გარდა ამისა, ის ქმედებები, რასაც ერდოღანი ახორციელებს, არ ჯდება ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ შეიძლება დაიწყოს ამერიკა-თურქეთის ურთიერთობების გადახედვის პროცესი. ერდოღანის პირობებში თურქეთი აღარ არის ისეთი პარტნიორი, როგორიც იყო ახლო წარსულში. ამიტომ, ძალთა გადანაწილების პროცესი მიდის.

არა მარტო თურქეთ-ამერიკას შორის ურთიერთობაში გაჩნდა ბზარი, არამედ დღეს განხეთქილებაა ევროპისა და ამერიკის პოლიტიკაშიც. კერძოდ, სანქციები, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ ტარდება, როგორც აღმოჩნდა არ არის ეფექტური. ამას ადასტურებს ირანისა და რუსეთის მაგალითი. თუ განვიხილავთ ევროპისა და რუსეთის ურთიერთობებს, მნიშვნელოვანწილად დაზარალდა ევროპა“, – აღნიშნა თამარ კიკნაძემ.

თამთა ქარჩავა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლუიზა მოწყობილის, ნარგიზ თურმანიძის, რამაზ თურმანიძის და როლანდ გოგიტიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

ლოტი №1

უძრავი ნივთის მესაკუთრე: ლუიზა მოწყობილი (პ/ნ 61001053786), ბათუმი, პუშკინის ქ. №116, ბინა №22;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, პუშკინის ქ. №114/116, სართული 1, ბინა №32 (საკადასტრო კოდი: 05.28.02.014.02.032).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 45149 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 6 ნოემბერი, 12:00 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ლოტი №2

უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნარგიზ თურმანიძე (პ/ნ 61006026778), დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. №42, ბინა №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, კომახიძის ქ. №113/115, ბინა №29 (საკადასტრო კოდი: 05.27.42.026.01.029).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 12903.80 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 6 ნოემბერი, 12:15 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ლოტი №3

უძრავი ნივთის მესაკუთრე: რამაზ თურმანიძე (პ/ნ 61006064716), დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. №42, ბინა №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ. №322, სართული 1, ბინა №1 (საკადასტრო კოდი: 05.35.27.066.01.001).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 12903.80 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 6 ნოემბერი, 12:30 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ლოტი №4

უძრავი ნივთის მესაკუთრე: როლანდ გოგიტიძე (პ/ნ 61006050915), ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ახალისოფელი;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ახალისოფელი (საკადასტრო კოდი: 22.29.03.042).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 9034.37 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 6 ნოემბერი, 12:30 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

1. **მოვალეები:** შპს „ნბრ ბალავარი“ (ს/კ 245625006), ბათუმი, პუშკინის 116;
   რომან თურმანიძე (პ/ნ 61008002681), ქედა, სოფელი მერისი;
   ბადრი დოლიძე (პ/ნ 61004012996), ქობულეთი, სოფელი ქაქუთი;
   თამილა დევაძე (პ/ნ 61002019196), ბათუმი, პუშკინის ქ. №35, ბინა №54ა.

2. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

3. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 6 ნოემბრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

აჭარის საინვესტიციო პოტენციალით გამოცემა „FORBES“ ინტერესდება

„აჭარა – ახალი შესაძლებლობების რეგიონი“ – ამ სათაურით სტატიას ყველაზე გავლენიანი ბიზნესგამოცემა „Forbes Georgia“ წერს. წერილის ავტორი აჭარის საინვესტიციო შესაძლებლობებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ **„აჭარა ის რეგიონია, რომელიც თავისი გეოგრაფიული ლოკაციიდან თუ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით ექცევა უცხოელი ინვესტორების ყურადღების ცენტრში და ამას სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს, რომლის მიხედვითაც რეგიონში დარეგისტრირებული უცხოური და უცხოურ-ქართული საწარმოების რაოდენობა წლიდან წლამდე მზარდია“.**

ინგლისურენოვან სტატიაში ასევე იმ პოზიტიურ ფაქტორებზეა გამახვილებული ყურადღება, რაც ინვესტორებისთვის აჭარაში კაპიტალის დაბანდებისას გადამწყვეტია. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ამ კუთხით ძირითად ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას:

„ხელმისაწვდომი სამუშაო ძალა, ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობა და ეფექტიანი სახელმწიფო სერვისები – ეს იმ შესაძლებლობათა ჩამონათვალია, რასაც აჭარის რეგიონი ნებისმიერ დაინტერესებულ ინვესტორს სთავაზობს. საინვესტიციო გარემოზე დიდ გავლენას ასევე საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს მოწინავე პოზიციონირება და უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებელი ახდენს“.

„FORBES“-ის ჟურნალისტი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს რამაზ ბოლქვაძეს ესაუბრა. სტატიაში მინისტრი რეგიონში არსებულ ჯანსაღ, თავისუფალ და კონკურენტუნარიან საინვესტიციო გარემოზე საუბრობს და ბოლო პერიოდში განხორციელებულ რამდენიმემილიონიან საინვესტიციო პროექტებზე ამახვილებს ყურადღებას.

„აჭარაში საინვესტიციო შესაძლებლობების რეალიზების თვალსაზრისით რამდენიმე სექტორია მიმზიდველი. გასული წლის სტატისტიკის მიხედვით ინვესტიციების ყველაზე დიდი მოცულობა ენერგოსექტორზე მოდიოდა, კერძოდ 45%. ამ მიმართულებით უმსხვილესი ინვესტიცია ნორვეგიულ-ინდური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტში განხორციელდა. მომდევნო ორი მოწინავე სექტორი ტურიზმი და მშენებლობაა. რაც შეეხება უშუალოდ ტურიზმს ერთ-ერთი ყველაზე გონივრული და სტრატეგიული ნაბიჯი აჭარის მთავრობის მხრიდან, ალბათ, რეგიონში სამთო სათხილამურო ტურიზმის განვითარების წამოწყება იყო. კურორტი „გოდერძი“ — პირველი კურორტი საქართველოში, სადაც გენერალური განვითარებისა და რეგულარული განაშენიანების გეგმა იქნა შემუშავებული. შედეგად დღეისათვის მაღალმთიან აჭარაში 6 საინვესტიციო პროექტი უკვე მიმდინარეობს, რომლის ჯამური ინვესტიციაც 80 მლნ ლარს შეადგენს. საერთო ჯამში კურორტი 7 000 ტურისტზეა გათვლილი და მის მიმართ როგორც ტურისტული, ისე საინვესტიციო ინტერესი დღითი დღე მზარდია“ – ნათქვამია სტატიაში.

გამოცემა აჭარის რეგიონის სტრატეგიულად ხელსაყრელ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე წერს და აღნიშნავს, რომ რეგიონი არა მხოლოდ ადგილობრივი წარმოების თვალსაზრისით არის საინტერესო, არამედ როგორც ლოჯისტიკური ჰაბი და ამ მიმართულებით მას მომგებიანი საინვესტიციო ლოკაცია აქვს.

სს „ელმავალმშენებელი“
2017 წლის 24 ოქტომბრიდან აცხადებს ინტერესთა გამოხატვას მის საკუთრებაში არსებული მეორადი დაზგა-დანადგარების რეალიზაციის შესახებ

ლოტი №1
სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი (მოდელი 16□16□□) - 1 ცალი.

ლოტი №2
უნივერსალური საღარავი ჩარხი (მოდელი 6□80Ш) - 1 ცალი.

ლოტი №3
ჰორიზონტალურად საღარავი ჩარხი (მოდელი 6П80) - 1 ცალი.

ლოტი №4
ბრტყლად სახეხი ჩარხი (მოდელი 3□71) - 1 ცალი.

ლოტი №5
საზეინკლო დაზგა (ე.წ. „ვერსტაკი“) - 4 ცალი.

ლოტი №6
თუჯის მოსანიშნ-შესამოწმებელი ფილა (ზომები - 1000 1600 მმ.) - 2 ცალი.

წინადადებების მიღების ბოლო ვადა: 31 ოქტომბერი 12:00 საათი.

წინადადებების მიღების ადგილი: დ.გურამიშვილის გამზირი №84, ადმინისტრაციული შენობის ოთახი №216.

კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმია: ყველაზე მაღალი ფასის შემოთავაზება.

განსაკუთრებული პირობა:
- პრეტენდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თავისი წინადადებები დალუქულ კონვერტებში;
- დემონტაჟის ადგილი უნდა შემოიღობოს დროებითი შემოღობვით.

კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია:
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დაზგა-დანადგარის დემონტაჟისათვის საჭირო ტექნიკისა და მუშა ხელის დაქირავება;
- დემონტაჟის დროს არ დააზიანოს ახლოს მდებარე დაზგა-დანადგარები;
- დემონტაჟის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების დაქირავება და შეძენილი საქონლის საზოგადოების ტერიტორიიდან გადატვირთვა;
- დაზგა-დანადგარის დემონტაჟისას დაიკისროს უსაფრთხოების წესების და პირობების სრული დაცვა და პასუხისმგებლობა;
- ყველა სხვა კონკრეტული პირობა გაიწერება პრეტენდენტთან გასაფორმებელ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:
- შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ინტერესთა გამოხატვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება დამოუკიდებელი ან/და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე შემსყიდველის ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ. 5 99 79 11 32, 5 77 003 707

◎ წინ, საქართველოვ!

მედალთცვენა ალბანეთში

ალბანეთში დასრულებულ ახალგაზრდა და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატის ბოლო ორ დღეს ქართველმა ათლეტებმა 13 მედალი დაიმსახურეს. 23-წლამდელ გოგონებში ანასტასია გოტფრიდმა, რომელიც უფროსებში ევროპისა და ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორია, 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში სოლიდური შედეგებით სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ორჭიდში მეორე ადგილზე გასულ სომეხ მეტოქეს მან 35 კილოთი გაუსწრო.

90კგ. 1. ანასტასია გოტფრიდი (საქართველო) – 263 (123+140), 2. თათევ ჰაკობიანი (სომხეთი) – 228 (105+123), 3. ანა ვანბენლინგენი (ბელგია) – 221 (100+121).

23-წლამდელ ვაჟთა 105 კილოში ლონგინოზ ბრეგვაძემ 176 კილო აიტაცა და პირველობა არავის დაუთმო. აკვრაში იგი 199 კილოს დასჯერდა და მეოთხე ადგილი ერგო, რადგან უკრაინელმა ბოჰდან ბურიაჩეკმა პირადი წონით აჯობა.

105კგ. 1. მარკოს რუიზი (ესპანეთი) – 378 (175+203), 2. ლონგინოზ ბრეგვაძე (საქართველო) – 375 (176+199), 3. ბოჰდან ბურიაჩეკი (უკრაინა) – 366 (167+199).

მძიმე წონაში ძალებს ცდიდა ბაქარ თურმანიძე, რომელიც 366 (166+200) კილოთი მეშვიდე ადგილს ვერ ასცდა.

ახალგაზრდებში დათო ხეცურიანმა (105 კგ) 173 კილო აიტაცა და პირველი ადგილი დაიკავა, აკვრაში 204 კილოთი მესამე იყო, ხოლო ორჭიდში 377 კილოგრამით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამავე წონაში ირაკლი ჩხეიძემ აკვრაში 206 კილოთი მეორე ადგილი დაიკავა, ორჭიდში კი მესამე იყო.

105კგ. 1. დათო ხეცურიანი (საქართველო) – 377 (173+204), 2. სამველ გასპარიანი (სომხეთი) – 374 (167+207), 3. ირაკლი ჩხეიძე (საქართველო) – 370 (164+206).

მძიმე წონაში გიორგი ჩხეიძემ საქართველოს სპორტული დელეგაციის ყულაბას სამი ვერცხლის მედალი შესძინა.

+105კგ. 1. სიმონ მარტიროსიანი (სომხეთი) – 433 (197+236), 2. გიორგი ჩხეიძე (საქართველო) – 416 (185+231), 3. ტამაშ კაიდოჩი (სერბეთი) – 391 (174+217).

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

დავით გუგუშვილი:

„მთავარი იყო თამაშის მოგება“

„ბათუმმა“ ევროპული რაგბის „კონტინენტის ფარის“ მეორე ტურში გერმანულ „ჰაიდელბერგს“ 4 ლელო დაუდო, 33:16 სძლია და 5 სატურნირო ქულა მოიპოვა. ესაა ქართული კლუბის პირველი გამარჯვება ჩელენჯ ქაფის შესარჩევ ტურნირში, რითაც ის ჯგუფში პირველ ადგილზე გადავიდა და პლეი-ოფს მიუახლოვდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ზემოხსენებულ შეხვედრაზე ზღვისპირელთა მთავარმა მწვრთნელმა **დავით გუგუშვილმა** ისაუბრა, რომელიც მიღწეული შედეგით კმაყოფილი იყო.

„პირველ ტაიმში გერმანელებმა მოახერხეს ჩვენთვის ბურთის შენელება და პრობლემები შეგვიქმნეს. გვქონდა პატარ-პატარა შეცდომები, რითაც მეტოქემ ისარგებლა და უპირატესობას დაეუფლა. გასახდელში ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ უფრო მეტი უნდა გვეთამაშა ხელით. კარგად იმუშავა ხმალაძე-თუთბერიძის წყვილმა და მეორე ტაიმის დასაწყისში უპირატესობა დავიბრუნეთ, რაც ბოლომდე ხელიდან აღარ გაგვიშვია. თანაც, დროულად განვახორციელეთ ცვლილებები , რომლებმაც გაამართლა.

მთავარი იყო თამაშის მოგება და ბონუს-ქულაზე ამის შემდეგღა ვიფიქრებდით. ბიჭებმა თავი არ დაზოგეს და სასიხარულოა, ბონუსიც რომ ავიღეთ. მთელი კლუბის სახელით „ბათუმის“ მთელ შემადგენლობას დიდ მადლობას ვუხდი, აგრეთვე გულშემატკივრებს, რომლებმაც შესანიშნავი ატმოსფერო შექმნეს და ერთად ვიზეიმეთ ეს დიდი გამარჯვება“.

B ჯგუფი	ქულა	სხვაობა	ლელო
ბათუმი (საქართველო)	7	+13	8/5
კალვიზანო (იტალია)	6	+23	9/4
პადოვა (იტალია)	5	+1	3/3
ლისაბონი (პორტუგალია)	4	-30	5/9

შენიშვნა: ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ორი საუკეთესო გადის და გუნდი არ ეთამაშება თანაჯგუფელებს

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

თორნიკეს შემოდგომა

„სასკი ბასკონიას“ ქართველი ლეგიონერი თორნიკე შენგელია ესპანეთის ლიგა ენდესას მეხუთე სათამაშო დღის საუკეთესო მოთამაშე გახდა. როგორც ტურის დასრულების შემდეგ გაირკვა, მარგი ქმედების ყველაზე მაღალი კოეფიციენტი (33) სწორედ ჩვენებურს აღმოაჩნდა და ეს ავტომატურად ნიშნავს ტურის MVP-ს!

„ჯვაროსანმა“ მართლაც დიდებული შეხვედრა ჩაატარა და ვიტორიელებს „გიპუზკოასთან“ მოაგებინა (88:86). ჩვენებურმა 36 წუთში 23 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

საგულისხმოა, რომ იგი შეტევაში თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდა – 9-დან 8 ორქულიანი და 9-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. ერთადერთი სამქულიანებში მოიკოჭლა: სამიდან მიზანს ვერცერთმა ტყორცნამ უწია.

თორნიკე შენგელია ტურის საუკეთესო მოთამაშე მიმდინარე სეზონში პირველად გახდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ იმედი



მორის ყვითელაშვილმა გრან პრის სერიის პირველი ეტაპი მე-5 ადგილით დაასრულა. მოსკოვში გამართულ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე ქართველი მოციგურავე მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით წარსდგა და მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამში 250,26 ქულა მოაგროვა.

გრან პრი ხუთეულით გახსნა

ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის ცნობით, ჩვენი სპორტსმენის თავისუფალი პროგრამა დატვირთული იყო ისეთი ურთულესი ელემენტებით, როგორებიცაა ოთხმაგი სალხოვი და ოთხმაგი ტულუპი, სამმაგი აქსელი და სამმაგი ტულუპი კომბინაციაში. ყვითელაშვილმა თავისუფალ პროგრამაში ტექნიკური ელემენტების შესრულებისთვის მსაჯებისაგან 90,95 ქულა მიიღო და შეფასების ტექნიკურ ნაწილში მე-4 ადგილი დაიკავა.

გრან პრის რუსულ ეტაპზე მონაწილეობა, ტრადიციისამებრ, 12-მა სპორტსმენმა მიიღო. მათ შორის საუკეთესო ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების წევრი ნათან ჩენი აღმოჩნდა 293,78 ქულით, მეორე და მესამე საპრიზო ადგილები კი იაპონელმა იუჟურუ ჰანიუმ (290,77) და რუსმა მიხაილ კოლიადამ (271,06) დაიკავეს.

მეორე ეტაპს 17-19 ნოემბერს საფრანგეთის ქალაქი გრენობლი უმასპინძლებს.

გრან პრის სერია ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შემდეგ ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრებაა. მასში მაღალრეიტინგიანი მოციგურავეები ასპარეზობენ, ტურნირის ფინალური ეტაპის დასრულების შემდეგ კი დგინდება ახალი რეიტინგი და სწორედ მასზეა დამოკიდებული მოციგურავეთა სასტარტო გამოსვლები ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე.

მანუჩარ გიორგაძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

საფეხბურთო **კლუბ საჩხერის „ჩიხურას“ მიკროავტობუსი, რომლითაც მოთამაშეები ბათუმში ჩატარებული მატჩის შემდეგ თბილისში მოემგზავრებოდნენ, ხაშურთან ახლოს ავარიაში მოყვა.**

ხელმძღვანელთა განცხადებით, დაშავდა გუნდის კაპიტანი შოთა კაშია. მას ლავიწის ძვლის მოტეხილობა დაუდგინდა და თბილისში უკვე ჩაუტარდა ოპერაცია, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. მიკროავტობუსში მყოფ სხვა პირებს სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ.

საქართველოს **ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ვაკო ყაზაიშვილი ამერიკული MLS-ის პლეი-ოფში ითამაშებს. ძალზე დრამატული გამოდგა რეგულარული სეზონის დასასრული: „სან ხოსეს“ ბოლო ტურში აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდა და „მინესოტას“ ორჯერ უგებდა, მაგრამ 81-ე წუთზე მეორე ბურთი გაუშვა და საუკეთესო ექვსეულს მილმა რჩებოდა (2:2).**

თუმცა, მსაჯის მიერ დამატებულ დროში მარკო ურენას გატანილი გოლით „სან ხოსემ“ 3:2 მოიგო და პლეი-ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

აღნიშნულ წარმატებაში თავისი წვლილი ქართველმაც შეიტანა – ვაკომ „მინესოტასთან“ შეუცვლელად ითამაშა. მართალია, ამ ჯერზე ბურთი არ გაუტანია, მაგრამ გეხსომებათ, რომ წინა ტურებში მნიშვნელოვანი გოლები შეაგდო.

MLS-ის რეგულარული სეზონი „სან ხოსემ“ დასავლეთ კონფერენციის მეექვსე ადგილზე დაასრულა 46 ქულით. რაც შეეხება ყაზაიშვილს, ქართველი ახალ გუნდს ჩინებულად შეეწყო და 13 მატჩში 5 ბურთის გატანაც მოახერხა.

საფრანგეთის **ეროვნული ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის“ ფორვარდი კილიან მბაპე იტალიური Tuttosport-ის მიერ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის დაწესებული ჯილდოს Golden Boy-ს მფლობელი გახდა.**

18 წლის ფრანგმა გაბრიელ ჟეზუსთან („მანჩესტერ სიტი“) და უსმან დემბელესთან („ბარსელონა“) კონკურენციაში იმარჯვა.

მიმდინარე სეზონში მბაპემ საკლუბო დონეზე 11 ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, 4 ბურთი გაიტანა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა შეასრულა. გასულ სეზონში ის „მონაკოს“ ღირსებას იცავდა, რომლის მაისურით ჩატარებულ 44 შეხვედრაში 26 გოლი და 14 ზუსტი გადაცემა მიითვალა.

ხსოვნა

თენგიზ შერვაშიძე



ჩვენმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 71 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მათემატიკოსი და მეცნიერების ორგანიზატორი, ფიზიკა- მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თენგიზ შერვაშიძე.**

თენგიზ შერვაშიძე დაიბადა 1946 წელს ზესტაფონში. 1968 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1968-1971 წლებში კი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი გამოჩენილი რუსი მათემატიკოსის, აკადემიკოს იური პროხოროვის ხელმძღვანელობით. 1972 წელს ამავე ინსტიტუტში მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია , ხოლო სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1999 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში.

თენგიზ შერვაშიძის გამოკვლევები მიეძღვნა ლოკალურ ზღვარით თეორემებს შემთხვევით სიდიდეთა ჯამებისთვის და განაწილების სიმკვრივის პარამეტრების შეფასებებს, მათ ასიმპტოტურ ყოფაქცევას. მისმა შრომებმა ამ მიმართულებით ფართო აღიარება ჰპოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კვლევის შედეგები აისახა მის მონოგრაფიასა და სხვა სამეცნიერო ნაშრომებში, რომელთა რაოდენობა 50-ს აღემატება.

თენგიზ შერვაშიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილებას, კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში, აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა საპეციალისტების აღზრდაში.

თენგიზ შერვაშიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მიმართულებით საქართველოში გამართული საერთაშორისო თუ ადგილობრივი მნიშვნელობის სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებაში და ამ ფორუმების მასალების რედაქტირებასა და გამოცემაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისას (1918 წელს) საქართველოში ალბათობის თეორიის ლექციების კურსი პირველად პროფესორმა ანდრია რაზმაძემ წაიკითხა, მაგრამ სახელმძღვანელოს გამოცემა ვერ მოასწრო. თენგიზ შერვაშიძემ გამოიყენა ანდრია რაზმაძის ერთ-ერთი სტუდენტის ჩანაწერები, რის მიხედვითაც აღადგინა და გადაამუშავა აღნიშნული ლექციების კურსი, დაურთო მას შესავალი, კომენტარები და წიგნად გამოსცა 1991 წელს. იგი აგრეთვე არის ავტორი და თანაავტორი ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის რამდენიმე ორიგინალური სახელმძღვანელოსი.

თენგიზ შერვაშიძე ერთ-ერთი დამფუძნებელია საქართველოს მათემატიკური ჟურნალისა, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე. მისმა პროფესიონალიზმმა, ერუდიციამ და კოლეგებთან ურთიერთობის უნიკალურმა ნიჭმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის მაღალი ავტორიტეტი, რითაც დღეს ჟურნალი სამეცნიერო სამყაროში სარგებლობს.

თენგიზ შერვაშიძის, როგორც ნიჭიერი მათემატიკოსის, მაღალი კლასის პროფესიონალისა და კეთილშობილი პიროვნების ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების გულებში.

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, საქართველოს მათემატიკური ჟურნალის რედაქცია, საქართველოს სტატისტიკური ასოციაცია

სანთელი

მარინა კანდელაკი, გურამ გოგიაშვილი, სპარტაკ ქობულია, ალეკო ასლანიშვილი თანაუგრძნობენ ფატი და ვიტალი ხაზარაძეებს

ასმათ ნიჟარაძის

გარდაცვალების გამო.

მეგობრები დემურ გადელია, ელიზბარ ლომინაძე, საველი მარსაგიშვილი, ნოდარ ზაზაძე, ვახტანგ კიკნაძე, ბესო კილასონია, თემურ კალანდაძე, თენგიზ კალანდაძე, პეტრე ბერაია, ჯამბულ წულაია, მელორ ტყეშელაშვილი და სხვები სამძიმარს უცხადებენ ფატი ნიჟარაძეს და ვიტალი ხაზარაძეს დისა და ცოლისდის

ასმათ ნიჟარაძის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე და მერაბ გურული ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ფატი და ვიტალი ხაზარაძეებს დისა და ცოლისდის

ასმათ ნიჟარაძის

გარდაცვალების გამო.

მირზა ქორქაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ფატი, ვიტალი ხაზარაძეებს დის და ცოლისდის

ასმათ ნიჟარაძის

გარდაცვალების გამო.

ხაშურის საავადმყოფოში უფასო კონსულტაციები

27 ოქტომბერს ხაშურის საავადმყოფოში თბილისიდან მოწვეული ექიმები სხვადასხვა მიმართულებით უფასო კონსულტაციებს ჩაატარებენ.

თბილისის ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალის წამყვანი ნეიროქირურგი, ტრავმატოლოგ-ორთოპედი, ზოგადი ქირურგი (ლაპარასკოპიული) და სისხლძარღვთა (ანგიო) ქირურგი ადგილობრივ მოსახლეობას დღის განმავლობაში მიიღებენ და მათ კონსულტაციებთან ერთად საჭირო კვლევებს და მკურნალობებს დაუნიშნავენ.

უფასო კონსულტაციები 11:00-დან 16:00 საათამდე გაიმართება და წარმოებს წინასწარი ჩაწერა ნომერზე: 2 55 05 05 ან 705 05.

ქართული „ბუკის“ ტრაექტორია

საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ყოველმხრივ ერიდება მოსკოვის გაღიზიანებას, ამ ფაქტის გახმაურება, ალბათ, დიდად არ სურდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, წილი ნაყარია, თანაც, პერსპექტივაში ეს ყველაფერი ქვეყანას უფრო წაადგება სწორედ რუსეთისგან თავის დასაცავად.

საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკის“ რაკეტა, რომელიც საქართველომ თავის დროზე უკრაინისგან მიიღო რუსეთის სამხედრო აგრესიისაგან საჰაერო სივრცის დასაცავად, თბილისს საიდუმლო ვითარებაში გადაუცია ნიდერლანდისთვის, რათა ამით ხელი შეუწყოს ბოლო დროის ერთ-ერთი საზარელი საავიაციო კატასტროფის გამოძიებას, რომელიც სამი წლის წინ სწორედ მსგავსი რაკეტის მოხვედრის შემდეგ დატრიალდა უკრაინის ცაში.

2014 წლის 17 ივლისს უკრაინის ტერიტორიაზე ჩამოვარდა მალაიზიის კუთვნილი „ბოინგ 777“-ის სამგზავრო თვითმფრინავი, რომელზეც 280 მგზავრი და ეკიპაჟის 15 წევრი იმყოფებოდა. თვითმფრინავზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა, ავიაკატასტროფის მიზეზებად კი დასახელდა აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიიდან გაშვებული რაკეტის მოხვედრა, რაშიც უკრაინელი სამხედროები და რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტები ერთმანეთს ადანაშაულებენ.

დამოუკიდებელმა საგამოძიებო ჯგუფმა, „ბელინგეკტმა“, კატასტროფიდან ზუსტად ორი წლის თავზე წარმოადგინა კომპლექსური გამოძიების შედეგები, რომლის თანახმად, დიდი სიზუსტით მტკიცდებოდა, რომ„ბოინგი“ აღმოსავლეთ უკრაინაში განლაგებულმა რუსეთის საზენიტო-სარაკეტო დანადგარმა ჩამოაგდო.

ამ ვერსიას იზიარებს გაერთიანებული საგამოძიებო ჯგუფი (JIT), რომელშიც ავსტრალია, მალაიზია, ბელგია, ნიდერლანდები და უკრაინაა გაერთიანებული. ჰოლანდიური გამოცემა „RTL Nieuws“ მიუთითებს, რომ საქართველომ, რომელიც შეერთებულია გაეროს 2166 რეზოლუციას, 2017 წლის დასაწყისში, კერძოდ, 21 თებერვალს, გადასცა „ბუკის“ რაკეტა ნიდერლანდის სამხედრო-დაზვერვის წარმომადგენლებს, რომლებმაც საიდუმლო ვითარებაში უზრუნველყვეს საქართველოს დედაქალაქიდან რაკეტის გადატანა ჰოლანდიის „ჰილზე რეიენის“ სამხედრო ბაზაზე.

თუმცა ქართული „ბუკის“ რაკეტის ტრაექტორია მხოლოდ ამით არ ამოიწურება. იმავე გამოცემის თანახმად, საქართველოს შეიარაღებაში არსებული რაკეტა თურმე სხვა მხრივაც ყოფილა საინტერესო. კერძოდ, ჰოლანდიელი სამხედროები სწავლობენ, თუ რამდენად წარმოადგენს საფრთხეს მსგავსი საზენიტო რაკეტა ახალი თაობის, F-35 ტიპის, გამანადგურებელი თვითმფრინავისათვის, რომელსაც ცნობილი ამერიკული ავიაკომპანია „ლოკჰიდ მარტინი“ აწარმოებს. ოფიციალური ინფორმაციით, ნიდერლანდების შეიარაღებაში 37 ერთეული ასეთი მრავალფუნქციური გამანადგურებელ-ბომბდამშენი თვითმფრინავია.

ასეთი კლასის სამხედრო თვითმფრინავზე ჯერჯერობით მხოლოდ ოცნება თუ შეუძლია საქართველოს, რომელსაც საკუთარი მოღიავებული ცის დასაცავად ახლა უკვე ერთით ნაკლები რაკეტა აქვს. სამაგიეროდ, ეს ნაბიჯი კიდევ უფრო გააძლიერებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს იმ ქვეყნების თვალში, რომლებიც საქართველოს უსაფრთხოების მთავარ გარანტად მიიჩნევიან.

კობა ლიკლიკაძე

ადვოკატის ცემაში ბრალდებული პოლიციელი დაჯარიმდა

ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემაში ბარლდებული ყოფილი პოლიციელი სასამართლომ ნაწილობრივ დამნაშავედ სცნო. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების ყოფილმა უფროსმა ლაშა კვირკვაიამ საკუთარ უფლებამოსილებას გადააჭარბა, თუმცა ვერ მიიჩნია დადგენილ ფაქტად, რომ მდინარაძე მან სცემა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, კვირკვაიას ბრალი გადაუკვალიფიცირდა და გამტყუნდა. მას 10 ათასლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

გიორგი მდინარაძის მიმართ ფიზიკური ძალადობა ვაკე-საბურთალოს პოლიციის მეხუთე განყოფილების შენობაში 2015 წლის 8 ნოემბერს მოხდა. საქმეზე პროკურატურამ აღნიშნული განყოფილების უფროსი ლაშა კვირკვაია დააკავა. კვირკვაია ბრალს არ აღიარებს და აცხადებს, რომ ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ პოლიციელებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც მოხდა მისი დაკავება და ამ დროს მიიყენა მდინარაძემ თვითდაზიანებები.

გილოცავთ და გვეიმედებით!

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ მიესალმება და გულთბილად ულოცავს ბატონ **კახა კალაძეს** სიცოცხლით, ისტორიით, სიყვარულით, სილაღითა და სიკეთით სავსე ქალაქის თბილისის მუნიციპალიტეტის **მერად არჩევას.**

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ბატონი **კახა** უსათუოდ გაამართლებს თბილისელთა ნდობას და იმედებს, იქნება წარმატებული მერი და შეასრულებს იმ დანაპირებს, რაც მან მისცა დედაქალაქის მოსახლეობას.

ამასთანავე იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი აქტიურად დაუჭერს მხარს ჩვენი ფონდის მიერ განსახორციელებელ ეროვნულ პროექტებს, გამოხატავს თანადგომას და დახმარებას, რომელიც მიმართულია **„ქართველი ერის სულიერი და ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისათვის“**.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახის, თბილისისა და საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

ღრმა პატივისცემით,

ბონდო კობაძე,

ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი. მშვიდობის „ოქროს ვარსკვლავის“ და მშვიდობის „ოქროს დროშის“ კავალერი.

სახიფათო ღრუბლები

გერმანელ მკვლევართა შეფასებით, ჭურჭლის სარეცხ ღრუბლებზე ორ მილიონამდე ბაქტერია ბუდობს, რომელთაგან ზოგიერთს უაღრესად სახიფათო დაავადების, მათ შორის პნევმონიისა და მენინგიტის გამოწვევა შეუძლიათ.



საქმე ისაა, რომ ღრუბლის მასალა ბაქტერიებისთვის უაღრესად კომფორტულ გარემოს – მაღალი ტენიანობასა და სითბოს ქმნის, რაც მათ სწრაფად გამრავლებას უწყობს ხელს. არადა, ღრუბლის დეზინფიცირება უაღრესად რთულია. ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ მათ მდუღარე წყლით ან მიკროტალღურ ღუმელში დამუშავების შემდეგაც კი, ისინი კიდევ უფრო მეტ ბაქტერიებს შეიცავდნენ, ვიდრე დეზინფექციის პროცედურების ჩატარებამდე. ამიტომ ოპტიმალური გამოსავალი ღრუბლის ყოველკვირეული გამოცვლაა.

მინდა კი ისევ ეს ძველი კაბა?!

ათიდან რვა ქალბატონი ტანსაცმლის კარადაში იმ სამოსელს ინახავს, რომელსაც აღარ იცვამს...

ფსიქოლოგების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მანდილოსანთა 70 პროცენტს იმედი აქვს, რომ ოდესმე შეძლებს იქამდე გახდომას, რომ კვლავ შეძლებს ძველ ტანსაცმელში ჩატევას. მათ 20 პროცენტს ძველ სამოსელთან სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს, 10 პროცენტს კი ძველი ნივთები ახალი ცხოვრების დაწყების სტიმულს აძლევს.

ხოლო ქალები, ვინც ძველ, გამოუსადეგარ ნივთებს უყოყმანოდ იშორებენ თავიდან, ცხოვრებით სავსებით კმაყოფილი არიან.

ყოვლისშემძლე ალკოჰოლი

სილამაზის აღქმა ბევრ გარემოებაზე ყოფილა დამოკიდებული. მაგალითად, მეცნიერები მოხალისეებს ქალებისა და მამაკაცების ფოტოსურათებს აჩვენებდნენ, შემდეგ კი ალკოჰოლის მიღებას სთხოვდნენ. აღმოჩნდა, რომ ამის შემდეგ ფოტოებზე აღბეჭდილი ქალბატონები მოხალისეებს უფრო ლამაზებად ეჩვენებოდნენ.

გამოკვლევის ავტორთა განმარტებით, ეს იმით აიხსნება, რომ ალკოჰოლი ნეგატიურად მოქმედებს თავის ტვინის იმ მონაკვეთზე, რომლებიც სიმეტრიის აღქმაზე არიან პასუხისმგებელნი, რის შედეგად სხვა ადამიანთა მომხიბვლელობის შეფასების კრიტერიუმი ქვეითდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

განგსტერი

ჩიკაგოს ერთ-ერთ კინოთეატრიდან გამოდის განგსტერი, სალაროს სარკმელს უახლოვდება და მოლარეს რევოლვერის მუქარით ეუბნება:

– იდიოტური ფილმი იყო! ახლავე დამიბრუნეთ ყველა მაყურებლის ბილეთების ფული!

ერუდიტი მოწაფე

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

– რა არის მონარქია?

– მონარქია არის, როცა ქვეყანას მეფე მართავს.

– კარგი, მაგრამ მეფე თუ მოკვდა?

– მაშინ, ქვეყანას დედოფალი მართავს.

– დედოფალიც თუ მოკვდა?

– მაშინ, ვალეტი რჩება, – მიუგებს ერუდიტი მოწაფე.

თუთიყუში აუქციონზე

ლონდონში აუქციონზე თუთიყუში იყიდებოდა. ძალიან ლამაზი თუთიყუში იყო და ცხარე ვაჭრობა გაიმართა. ბოლოს უკანასკნელად დაჰკრა ჩაქუჩი აუქციონისტმა და თუთიყუში გაიყიდა. ბედგაღიმებულმა მყიდველმა იკითხა:

– თუ შეიძლება, მითხარით, ლაპარაკი იცის ამ თუთიყუშმა?

– იცის რომელია! – იწყინა სავით აუქციონისტმა. – ბოლო ნახევარი საათი თვითონ გევაჭრებოდათ და ფასს იმატებდა.

როგორ ვისადილოთ გემრიელად

ფრანგი დიპლომატი შვებულებას ლაჟვარდოვან ზღვისპირას ატარებდა. პირველსავე დღეს კარგ რესტორანში შევიდა, მენიუ მოითხოვა, ჩამონათვალს თვალი გადაავლო, საფულიდან ხუთფრანკიანი ამოიღო და ოფიციანტს გაუწოდა, კარგი რამ კერძი მომართვიო.

კერძი მართლაც გემრიელი გამოდგა, დიპლომატმა მხოლოდ ამ რესტორანში განაგრძო სადილობა. ყოველდღე წინდაწინ ხუთ ფრანკს უხდიდა ოფიციანტს და გემრიელად სადილობდა. თავისი შვებულების ბოლო დღესაც ხუთ ფრანკს რომ აძლევდა ოფიციანტს, თან დააყოლა:

– დღეს ჩემი ბოლო სადილია თქვენს რესტორანში, ხვალ პარიზში ვბრუნდები.

ოფიციანტმა თავაზიანად დაუხარა თავი, წამიერად ჩაფიქრდა და უთხრა:

– თუ სურვილი გექნებათ, რომ თქვენს მეგობრებსა და ნაცნობებს ჩვენი რესტორნის სტუმრობა ურჩიოთ, ისეთები შეარჩიეთ, ვინც თქვენსავით არ იციან კითხვა, უთხარით, რომ მე მომძებნონ. მე უაკი მქვია!

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4864; ევრო - 2.9344;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2753;
100 რუბლი - 4.3181; თურქული ლირა - 0.6784;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4634;
1000 სომხური დრამი - 5.1693.

ამინდი 24 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+07,	დღე	+17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge